პროლეტარიელნო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

2

ნოემბერი
კვირა
1969
ფასი 2 კაპ.

გამოცემის ნი-ე წელი

№ 256 (14556)

გულითადი მადლობა

საკპ ცენტრალური კომიტეტი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო გულითად მადლობას უხდიან ყველა პარტიულ, საბჭოთა და საზოგადოებრივ ორგანიზაციას, საწარმოთა და დაწესებულებათა კოლექტივებს, საბჭოთა კავშირის ცალკეულ მოქალაქეებს, აგრეთვე მოძმე პარტიების ცენტრალურ კომიტეტებს, სოციალისტური და მეგობარი ქვეყნების მთავრობებს, საზღვარგარეთის ქვეყნების სახელმწიფო მოღვაწეებს, საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, და ცალკეულ პირებს, რომლებმაც მოგვაწოდეს სასიამოვნო კავშირებით, რომ წარმატებულ დასრულებულ ტორიაში პირველი ... ფრენა სამი კოსმოსური ხომალდისა „სოიუზ-6“, „სოიუზ-7“ და „სოიუზ-8“, რომლებსაც პილოტობდნენ კოსმონავტი მფრინავები ვ. ა. შატალოვი, გ. ს. შონინი, ვ. ნ. კუბასოვი, ა. ვ. ფილიპჩენკო, ვ. ნ. ვოლკოვი, ვ. ვ. გორბატკო, ა. ს. ელისეევი.

საკპ ცენტრალური კომიტეტი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო

პარტიული ორგანიზაციების ცხოვრების საქმე

ჩვენი რესპუბლიკის პარტიულ ორგანიზაციებში იწყება მეტად მნიშვნელოვანი და პასუხსაგები კამპანია — ანგარიშგება-არჩევნები. მთელი ორი თვის მანძილზე, ნოემბერსა და დეკემბერში, გაჩაღებული იქნება კომუნისტთა გულია და პრინციპული საუბარი განვლილი ერთი წლის მანძილზე განეული მუშაობის შესახებ. კომუნისტები თავიანთ კრებებზე სწორ, კოლექტიურ ანალიზს გაუკეთებენ როგორც მიღწეულს, მოპოვებულს, ასევე ჯერ კიდევ გადაუჭრელ საკითხებს, გაუთვალისწინებელსა და გაუკეთებელს, ყურადღებით შეიმუშავებენ მომავალი საქმიანობის სასარგებლო ღონისძიებებს.

როგორც ყინაო, ახლაც ანგარიშგება-არჩევნები მოეწყობა ჯერ პარტიულ ჯგუფებში, შემდეგ — საამქრო ორგანიზაციებში და ბოლოს პირველად პარტორგანიზაციებში.

განვლილი ერთი წელი — მთელი ხანგარეშო პეროდი ხასვე იყო დიდი მნიშვნელობის ამბებით, მოვლენებით. პარტიული ორგანიზაციების ცხოვრება მიმდინარეობდა ჩვენი პარტიის XXIII ყრილობის გადაწყვეტილებათა მძლავრი ზეიმოქმედებით. ყრილობის გადაწყვეტილებებს რომ ასრულებენ, პირველადმა პარტორგანიზაციებმა შეიძინეს შინაპარტიული და მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის, მეურნეობისადმი ხელმძღვანელობის კარგი გამოცდილება. ისინი სულ უფრო მტკიცედ იცავენ პარტიული ცხოვრების ლენინურ ნორმებს, ავითარებენ ინიციატივასა და თაოსნობას საწარმოო და საზოგადოებრივი საქმიანობის ყველა სფეროში, ენერგიულად იბრძვიან პარტიული და სახელმწიფო დისციპლინის განმტკიცებისათვის.

და ღრმად, ყოველმხრივ გაუკეთოს ანალიზი შეძენილ გამოცდილებას, ყოველივე ახალს პარტიული ორგანიზაციის მუშაობაში, გაკეთოს სწორი დასკვნები მომავლისათვის — აი თვითეული საანგარიშო-საარჩევნო კრების უმნიშვნელოვანესი ამოცანა.

ამჟამად ყველა პარტიული ორგანიზაციის ყურადღების ცენტრში დგას ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისათვის ღირსეულად შეხვედრის საკითხები, რაც, უეჭველია, თვალსაჩინო ადგილს დაიკავებს საანგარიშო მოხსენებებსა და კრებების მონაწილეთა ლოზუნგების გამოსვლებში. ლენინური იუბილესათვის მზადებაში ბევრი კოლექტივი დაწინაურდა, ბევრგან თავი იჩინა სიახლემ, თაოსნობამ, მიღწეულია წარმატებანი სოციალისტურ შეჯიბრებაში. როგორ ჩაუდგა სათავეში მასების მაღალ პოლიტიკურ და საწარმოო აქტივობას? როგორ იყენებს ამ საერთო აღმავლობაში ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის მრავალფეროვან ფორმებსა და მეთოდებს? — აი ხანგარეშო-საარჩევნო კრებებზე საუბრის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი თემა.

პირველადი ორგანიზაცია პარტიის ძირითადი რგოლია. ამიტომ ჩვენი პარტია მუდამ დაინტერესებულია იმით, რომ სულ უფრო მტკიცდებოდეს, იზრდებოდეს თვითეული მათგანის ბრძოლისუნარიანობა. პირველადი პარტიული ორგანიზაციის ბრძოლისუნარიანობას კი მუდამეად კვებავს, სიცოცხლეს ანძლევს მისი თვითეული წევრის ინიციატივა და აქტივობა, საქმისათვის მაღალი პასუხისმგებლობის გრძნობა. ერთი სიტყვით, პარტიული ორგანიზაციის პოლიტიკური და ორგანიზატორული მუშაობის დონეს მარტო მისი არჩევითი ორგანოს მოქმედება როდი განსაზღვრავს. უდიდესი ყურადღება ენიჭება იმას, თუ როგორ მუშაობს, როგორ იქცევა თვითეული კომუნისტი, რამდენად აქტიურად, შეგნებულად და პასუხისმგებლობით მონაწილეობს იგი პარტიულ ცხოვრებაში.

სწორედ ამიტომ, საანგარიშო-საარჩევნო კრებები ყველგან უნდა გამოირჩეოდნენ მაღალი მომთხოვნელობით როგორც თავიანთი არჩევითი ორგანოსადმი, ისე თვითეული კომუნისტისადმი. კრებებზე ფართო გზა უნდა დაეთმოს კრიტიკასა და თვითკრიტიკას, როგორც პარტიული ცხოვრების განუყოფელ ნაწილს.

ყოველი პირველადი პარტიული ორგანიზაცია მთელ თავის მოღვაწეობაში განუხრელად უნდა ხელმძღვანელობდეს სკკპ პროგრამითა და წესდებით. ამ ძირითად დოკუმენტებში მას შეუძლია ნახოს ნათელი პასუხები იმაზე, თუ როგორ გადაწყვიტოს მთავარი ამოცანები. პარტიულ ორგანიზაციებს, სადაც უნდა მოქმედებდნენ ისინი — საწარმოებში თუ მეურნეობებში, სამეცნიერო თუ სავაჭრო ორგანიზაციებში, აქვთ საერთო მიზანი: გაუმჯობესონ შინაპარტიული და იდეოლოგიური მუშაობა. ხომ სწორედ ამაზეა დამოკიდებული კომუნისტთა ყოველი კოლექტივის წარმატება. ამიტომ საანგარიშო-საარჩევნო კრებებზე უნდა ითქვას, თუ როგორ შუშაობენ პარტიაში მიღების საკითხებზე. როგორ ეხმარებიან ახალგაზრდა კომუნისტებს, რა გადაწყვეტილებებს იღებენ და როგორ ამოწმებენ შესრულებას, ყველა კომუნისტს აქვს თუ არა პარტიული დავალება.

უკანასკნელ ხანს მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა იდეოლოგიური საქმიანობა. ამას ხელი შეუწყო ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისათვის გაცხოველებულმა მზადებამ. ლენინური სწავლების ნელმა სულ უფრო და უფრო ძალა კომუნისტი, უპარტიო მოიცვა. **ღრმად შევისწავლოთ ლენინური იდეური მემკვიდრეობა!** — ამ დევიზით ახალ სასწავლო წელს მეცადინეობას შეუდგენენ პოლიტიკური განათლების სისტემის სკოლები და სემინარები. თვითეული ლექტორის, პროპაგანდისტის, აგიტატორისა და პოლიტინფორმატორის მოღვაწეობისათვის მეტად კარგი საშუალებაა კომუნისტური და მუშათა პარტიების მოსკოვის საერთაშორისო თათბირის მასალები.

მაგრამ ამ საერთო ამოცანებთან ერთად თვითეულ პარტიულ ორგანიზაციას აქვს თავისი სპეციფიკა, მუშაობის კონკრეტული ამოცანა. ამიტომ, ბუნებრივია, რომ სამრეწველო საწარმოთა პარტიული ორგანიზაციების ხანგარეშო-საარჩევნო კრებებზე გულდასმით განიხილავენ ტექნიკური პროგრესის, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების, თვითღირებულების შემცირების საკითხებს. საჭირო ყურადღება დაეთმობა იმას, თუ რა საქმიანობას ეწევიან პარტიული ორგანიზაციები, კომუნისტები დაგეგმვისა და ეკონომიური ტიმულირების ახალი სისტემის დანერგვის, ხუთდღიანი სამუშაო კვირაზე გადასვლის პირობებში.

კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების კომუნისტთა გამოსვლების თემა კი მჭიდროდ იქნება დაკავშირებული მარცვლეულის, ჩაის, ყურძნის, ხილის, მეცხოველეობისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოების გადიდებისათვის, მეურნეობათა ეკონომიკის განმტკიცებისათვის ზრუნვასთან. სოფლის კომუნისტთა ყურადღების ცენტრში კვლავ დგას კოლმეურნეობის ახალი სანიმუშო წესდების პროექტის განხილვა, რესპუბლიკის კოლმეურნეთა მესამე სრულიად საკავშირო ყრილობის შედეგები, მზადება კოლმეურნეთა მესამე სრულიად საკავშირო ყრილობისათვის.

თავიანთი კონკრეტული, დიდი და პასუხსაგები ამოცანები აქვთ სამეცნიერო და კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების, ხატრანსპორტო და სავაჭრო ორგანიზაციების კომუნისტებს.

როგორც წინა წლების პრაქტიკამ დაადასტურა, კრებების წარმატებას ხელს უწყობს ხანგარეშო მოხსენებათა შინაარსი. **პრინციპული საქმიანი მოხსენება კარგ ტონს აძლევს გაბედულ და სულ კაბამს.** ამიტომ ყველგან დიდი გულმოდგინეობით უნდა მოეკიდონ ხანგარეშო მოხსენების მომზადებას, მასში აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღონ კომუნისტებმა.

ხანგარეშო-საარჩევნო კრებების ერთ-ერთი პასუხსაგები ამოცანაა ხელმძღვანელი ორგანოების არჩევნები. იგი უნდა მოეწყოს სკკპ ცენტრალური კომიტეტის ინსტრუქციის მტკიცედ და განუხრელად დაცვით. საჭიროა დასახელებული ოვითეული კანდიდატური განხილვას მოეკიდოთ მაღალი პასუხისმგებლობით, რომ პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელობაში ავირჩიოთ მხოლოდ ავტორიტეტიანი, შრომისმოყვარე და ინიციატივიანი კომუნისტები.

პირველადს პარტორგანიზაციებში ანგარიშგება-არჩევნების ორგანიზებულად და მაღალ დონეზე წარმართვა ბევრად არის დამოკიდებული რაიონული და საქალაქო კომიტეტების მხრივ ყოველდღიურად ზრუნვაზე. ხელმძღვანელობაზე. ამიტომ მათ საქმიანი და ქმედითი პრაქტიკული დახმარება უნდა გაუწიონ ადგილებს, ფხიზლად ადევნონ თვალყური კრებების მომზადებასა და მიმდინარეობას, დროულად შეამჩნიონ და აღკვეთონ დაშვებული შეცდომები.

ხანგარეშო-საარჩევნო კამპანიამ კიდევ უფრო უნდა გააძლიეროს თვითეული პარტორგანიზაციის მრძოლისუნარიანობა, განავითაროს კომუნისტთა აქტივობა და ინიციატივა.

სახალხო მეურნეობის მუშაკებო! აამაღლეთ წარმოების კულტურა, ფართოდ დანერგეთ შრომის მეცნიერული ორგანიზაცია და მოწინავე გამოცდილება! იბრძოლეთ თვითეული სამუშაო წუთის სრული გამოყენებისათვის, ნედლეულისა და მასალების მომჭირნეობისათვის!

საკპ ცენტრალური კომიტეტის საოქტომბრო მოწოდებიდან.

ნოგათეგი სამშოგლოს

□ საბარმაჯოს რაიონის მხვნელ-მთესველებმა სიტყვა საქმედ აქცინეს, — აცნობეს „კომუნისტის“ რედაქციას პარტიის საგარეჯოს რაიკომის პირველმა მდივანმა ო. საბაშვილმა, რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ა. დავითაშვილმა, სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსმა ა. აჩიელაშვილმა — 27 ოქტომბრისათვის 100 პროცენტით შეასრულეს თავთავიანი მარცვლეული კულტურების საშემოდგომო თესვის გეგმა. დათესეს 14.803 ჰექტარი.

□ პარტიის ასპინძის რაიკომის პირველმა მდივანმა ლ. ისაკაძემ, რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ „გავაშელმა“, სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსმა მელიქაძემ „კომუნისტის“ რედაქციას აცნობეს, რომ რაიონმა ვადაზე ადრე — 25 ოქტომბრისათვის შეასრულა სახელმწიფოსათვის მეცხოველეობის პროდუქტების მიყიდვის წლიური გეგმა. ხორცის მიყიდვის გეგმა შესრულდა 108 პროცენტით, რძისა — 100 პროცენტით, კვერცხისა — 245 პროცენტით, მატყლისა — 101 პროცენტით.

□ □

სრული მეტალურგიული ციკლით

რუსთავი. (საკ. კორ.). ქართველმა მეტალურგებმა სრული მეტალურგიული ციკლით შეასრულეს ოქტომბრის სახელმწიფო დავალება. სამშობლომ გეგმის გადამეტებით მიიღო ასობით ტონა ნაგლინი, თუჯი, ფოლადი, მზა ნაწარმი. „გაწსაკორებით გამოიჩინეს თავი მგლინავებმა და ბოლმგლინავებმა.

მომავალი წლის ანგარიშში

ჟუმაისი. (საკ. კორ.). ქალაქის სამრეწველო საწარმოთა კოლექტივები სასახელოდ ასრულებენ ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის და საოქტომბრო დღესასწაულის ღირსეულად შეხვედრისათვის ნაკისრ ვალდებულებებს. 15 საწარმომ, მათ შორის „ჟუობარიტის“ მაღაროთა სამმართველომ, სატრაქტორო, ლუდის, რძის, ხილეული წყლების ქარხნებმა, ტრიკოტაჟისა და ტანსაცმლის ინდივიდუალური კერვის ფაბრიკებმა, № 5 სტამბამ, ხორცკომბინატმა, მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების კომბინატმა გადაჭარბებით შეასრულეს ხუთწლედის ოთხი წლის გეგმა.

განვლილ სამ წელიწადსა და ცხრა თვეში აღნიშნულ საწარმოთა კოლექტივებმა 109,5 პროცენტით შეასრულეს ოთხი წლის დავალება და მომავალი წლის ანგარიშში სამშობლოს მისცეს 10 მილიონ 307 ათასი მანეთის პროდუქცია.

შენდება ქარხანა

თბილისი. სურათზე: მშენებლობის სამინისტროს ტრესტ „მშენინდუსტრიის“ რკინაბეტონის ნაკეთობათა № 8 ქარხნის ახალი კორპუსის მშენებლობის ხედი.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

საოქტომბრო ლენინურ ვაჩუქზე

მეგობრების შეხვედრა

ქართული კულტურის დღეები გდრ-ში

ბერლინი, 1 ნოემბერი. (საკდუსის სპეც. კორ.). ბერლინის აღმოსავლეთი გაგზავნა — ოსტბანჰოფი 31 ოქტომბერს გადაიქცა „გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში ქართული კულტურის დღეების“ სასტარტო მოედნად.

ძველ ვაგზალს ალაბათ დიდი ხანია არ უნახავს ისეთი გულთბილი შეხვედრა, როგორიც მოეწყვეს თბილისიდან სპეციალური მატარებლით ჩამოსულ ქართული კულტურის დღეების მონაწილეებს.

მეგობრობისა და ძმობის გრძნობამ, რომელიც 1957 წელს საქართველოში გაბრწყინდა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის კულტურის დღეების დროს დამყარებულმა პირადმა კონტაქტებმა განამტკიცეს, ეს შეხვედრა უფრო გულთბილი და სასიხარულო გახადეს. ათასობით ბერლინელი მოვიდა ვაგზალში ქართული კულტურის წარმომადგენელთა შესახვედრად, მათ თან მოიტანეს უთვალავი ყვავილი და ღიმილი, რაც ისევდენ საჭიროა, რათა ადამიანებმა უკეთ გაუგონ ერმანელებს.

სსრ კავშირის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და საქართველოს სსრ სახელმწიფო ალმფრის მორთულ ვაგზლის ბაქანზე არიან გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის კულტურის მინისტრი ჰ. ბეზი, კულტურის მინისტრის პირველი მოადგილე დ. კაინერცი, კულტურის მინისტრის მოადგილე ჰ. ბორმი, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის კულტურის სამინისტროს საერთაშორისო ურთიერთობის განყოფილების გამგე ი. ბეზი და სამინისტროს სხვა პასუხისმგებელი მუშაკები, სსრ კავშირის ელჩი გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში პ. აბრასიმოვი, სსრ კავშირის საელჩოს მრჩეველი პ. რიმაკოვი, გერმანია-საბჭოთა „კავშირის მეგობრობის საზოგადოების მთავარი გამგეობის პირველი მდივანი ბ. შმშერი, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ხელოვნების აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი ა. ანრიცი, დემოკრატიული გერმანიის ეროვნული ფრონტის, სახალხო განათლების, ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების, მეცნიერებათა აკადემიისა და ხელოვნების აკადემიის, შემოქმედებითი კავშირების, კარლ-მარქს-შტადტის, დრეზდენის, ჭერის, ზულის საოლქო საბჭოების, ბერლინის მაგისტრატის წარმომადგენლები, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის დედაქალაქის მუშები და მოსამსახურეები, მოსწავლეები.

საღამოს რვა საათია. ფოტოკორესპონდენტებისა და ტელერეპორტიორების ბლიცებით განათებული მატარებელი ბაქანს ჯახლოვდება.

მატარებლიდან ჩამოდიან საქართველოს სსრ დელეგაციის წევრები: საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის კულტურის განყოფილების გამგე დ. ჩხეიძეშვილი, საქართველოს სსრ და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მეგობრობის საზოგადოების თავმჯდომარე აკადემიკოსი ვ. ბუპრაძე, საქართველოს საზღვარგარეთის ქვეყნებთან კულტურული ურთიერთობის საზოგადოების პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. მელაძე და სხვა ოფიციალური პირნი. შეკრებილნი განსაკუთრებით გულთბილად მიესალმენ „ჯარისკაცის მამას“— სსრ კავშირის სახალხო არტისტს ს. ზაქარიაძეს.

შემდეგ ქართული კულტურის დღეების მონაწილენი მიემართებიან საკეციალურად აღმართულ ტრიბუნასთან, საიდანაც გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და საქართველოს სსრ კულტურის მინისტრებმა ჰ. ბეზმა და ო. თაძოაძეშვილმა წარმოთქვეს მისასალმებელი სიტყვები.

ძვირფასო ქართული ხელოვნების მოდვაწენო, თქვა ჰ. ბეზმ, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის, ყველა მშრომელის სახელითა ნება მიბოძეთ მოგესალმოთ გერმანიის მიწა-წყალზე. ჩვენი სამშობლოს მშრომელებს ახარებთ, რომ შეუძლიათ გაეცნონ თქვენი რესპუბლიკის ხელოვნებასა და მეცნიერებას, რომელიც საბჭოთა კავშირისა და ჟულტურის დიდმნიშვნელოვან ნაწილს შეადგენს. ვიმედოვნებთ, რომ შეგვლემთ დაგბედეთ ისეთივე გულითადობითა და სტუმრმომყვარეობით, როგორც თქვენ მიიღეთ ჩვენი რესპუბლიკის კულტურის წარმომადგენლები ორი წლის წინათ საქართველოში. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის კულტურის დღეების დროს. დარწმუნებული ვართ, რომ თქვენი ყოფნა და თქვენი-გამოსვლები ჩვენს რესპუბლიკაში თქვენი კულტურის უდიდესი წარმატებების დემონსტრაცია იქნება და კიდევ უფრო განმტკიცებს ჩვენი ხალხების ძმობას.

ჩვენ ვიცნობთ თქვენი ხალხის კულტურის ძალასა და სილამაზეს, თქვენმა ხალხმა შეინარჩუნა და ავითარებს უძველესი კულტურის ტრადიციებს, რომელიც უმაგალითოდ აკავშირებს საბჭოთა ხელისუფლების პირობებში. მადლობას გუძღვნით საბჭოთა კავშირის პარტიასა. და მთავრობას, თქვენი რესპუბლიკის ხელმძღვანელებს, რომლებმაც აქ გამოგგზავნეს, მადლობას ვუძღვნით კულტურის დღეების ყველა მონაწილეს, რომლებიც აქ ჩამოვიდნენ, დიდი შრომისათვის, მეგობრობის ამ დღესასწაულში მონაწილეობისათვის.

თქვენი ჩამოსვლა მეგობრობის ახალი დადასტურებაა და ჩვენ ვიცით, რომ ათ დღეს, რომლებიც მოეძღვნება ქართული კულტურის წარმატებების დემონსტრაციას, მოჰყვება საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკასთან, საბჭოთა კავშირის ხალხთან მეგობრული ურთიერთობის შემდგომი განმტკიცება.

კეთილი იყოს თქვენი მობრძანება, ძვირფასო მეგობრებო! გისურვებთ დიდ წარმატებას!

— სამ დღე-ღამეზე მეტხანს მოვდიოდით თქვენთან, 3 ათასზე მეტი კილომეტრი გამოვიარეთ თბილისიდან ბერლინამდე, თქვა საპასუხო სიტყვაში ო. თაძოაძეშვილმა, რათა გადმოგცეთ შავი ზღვის ლაჟვარდოვანი ნაპირების, კავკასიონის ჭალარა მწვერვალების მხურვალე სალამი. ჩვენი სახით თქვენ მოგესალმებით დიდი საბჭოთა კავშირის ერთ-ერთი მოძმე რესპუბლიკა — საქართველო.

მაგრამ ქართველი ხალხის მხურვალე სალამის გარდა ჩვენ ჩამოგიტანთ ამ ხალხის უდიდესი სიმდიდრე —მისი კულტურა და ხელოვნება. ჩვენს ხალხს, ისევე როგორც ბევრ სხვა ხალხს, ერთი კარგი თვისება აქვს — არაფერი არ ენანება კარგი მეგობრებისათვის. ჯერ კიდევ 800 წლის წინათ ჩვენმა დიდმა პოეტმა შოთა რუსთაველმა თქვა: „რასაცა ბასცემ შმენა, რასაც არ — დაკარგულია“, ამიტომ ასე გულწრფელად გამოგგაქვს თქვენს სამსჯავრეში ჩვენი საუკეთესო სიმდერები და ცეკვები, ქართული ხელოვნების ნიმუშები. გვიწერია, რომ ყოველივე ეს ჩამოგიტანეთ ძმობის, დიდი პატივისცემის გრძნობით იმ ხალხისადმი, რომლის მიწაზე დღეს ფეხი დავდგით. მადლობას გიძღვნით გულთბილი და მეგობრული მისასალმებელი სიტყვებისათვის.

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ხალხთა მარადიულ მეგობრობას!

გაუმარჯოს ორი მოძმე ხალხის კულტურების შეხვედრას!

ქართველ სტუმრებს გულთბილად მიესალმა ბერლინელი მოსწავლე ბრისტა შულეი. ჩვენ, ახალი დემოკრატიული გერმანიის მოზარდი თაობა, თქვა მან, წმიდად დავიცავთ საბჭოთა კავშირისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ხალხთა მეგობრობასა და ძმობას. დღეს, როცა თქვენ მოგესალმებით, მხურვალედ მივესალმებით ყველა ჩვენს ქართველ თანატოლს. გვიხარეს, რომ ნაწილობრივ მაინც გავიცნობით მათს ცხოვრებასა და სწავლას — ამის შესახებ მოგვითხრობს ქართველი ბავშვების ნახატების გამოფენა, რომელიც ბერლინში იხსნება.

მოსწავლეთა ანსამბლმა შეასრულა მელოდიური მარშები, ხოლო ბავშვები ერთხმად გაიძახოდნენ: — „ზრრიეზდშუზტ“, „დრუშბა“, „მეგბრობა“, შემდეგ ამ შეძახილებს უფროსებიც შეუერთდნენ.

მაშ ასე, გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში ხალხთა მეგობრობისა და ძმობის დღესასწაული დაიწყო ქართული კულტურის დღეები.

ამავე საღამოს ბერლინის ტელევიზიამ მაყურებლებს უჩვენა ქართველი სტუმრების ჩამოსვლა. რადიომ გადასცა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და საქართველოს სსრ კულტურის, მინისტრების მისასალმებელი სიტყვები, აგრეთვე ქართული კულტურის დღეების პირველი დღის ღონისძიებათა ვრცელი გეგმები. ქართული კულტურის დღეები ბერლინის გარდა ერთდროულად გაიმართება დრეზდენში, კარლ-მარქს-შტადტში, ჭერსა და ზულში

ლ. გაგუა.

ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ამხ. გ. ს. გულაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

რესპუბლიკის ენერგეტიკის განვითარების საქმეში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების სამოცდაათ წელთან დაკავშირებით, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ენერგეტიკისა და ელექტრფიკაციის მთავარი სამმართველოს ენერგოგასაღების დირექტორი ამხ. გიორგი სპირიდონის-ძე **ბულაშვილი** დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვპაპაძე

თბილისი,
1969 წლის 27 ოქტომბერი.

ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ამხ. ლ. ი. ვაინფერის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

სამრეწველო მშენებლობის დარგში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით, ამიერკავკასიის მეტალურგიული მშენებლობის № 1 ტრესტის მთავარი ინჟინრის მოადგილე ამხ. ლევ იზრაილის-ძე **ვაინფერი** დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვპაპაძე

თბილისი,
1969 წლის 27 ოქტომბერი.

ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ამხ. ე. დ. ბეკოევის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ოსური საბჭოთა მწერლობის განვითარების საქმეში დამსახურებისათვის, დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით, მწერალი ელიოზ დავითის-ძე **ბეკოევი** დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვპაპაძე

თბილისი,
1969 წლის 27 ოქტომბერი.

ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ამხ. ბ. ბ. ტოტჩიევის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ, საბჭოთა და სოფლის მეურნეობის ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით, სამხრეთოსეთის ავტონომიური ოლქის სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსი ამხ. გრიგოლ ბორისის-ძე **ტოტჩიევი** დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვპაპაძე

თბილისი,
1969 წლის 27 ოქტომბერი.

ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ამხ. დ. ა. ბარამიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

საბჭოთა და სოფლის მეურნეობის ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით, ბორჯომის რაიონის სოფლის მეურნეობის საწარმოო სამმართველოს უფროსი ამხ. დავით ალექსის-ძე **ბარამიძე** დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვპაპაძე

თბილისი,
1969 წლის 27 ოქტომბერი.

ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ამხ. ა. ი. მარტჩიანის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

საბჭოთა, სამეურნეო და სოფლის მეურნეობის ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით, ცხინვალი ს რაიონის სოფლის მეურნეობის საწარმოო სამმართველოს მთავარი აგრონომი ამხ. ანდრია ივანეს-ძე **მარტჩიანი** დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვპაპაძე

თბილისი,
1969 წლის 27 ოქტომბერი.

ᲗᲐᲕᲘᲡ ᲐᲠᲘᲓᲔᲑᲔᲜ ᲛᲝᲚᲐᲞᲐᲠᲐᲙᲔᲑᲐᲡ

ᲡᲐᲛᲮᲠᲔᲗ ᲕᲘᲔᲢᲜᲐᲛᲘᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲓᲠᲝᲔᲑᲘᲗᲘ ᲠᲔᲕᲝᲚᲣᲪᲘᲣᲠᲘ ᲗᲐᲕᲗᲐᲕᲠᲝᲑᲘᲡ ᲓᲔᲚᲔᲒᲐᲪᲘᲘᲡ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ

ᲞᲐᲠᲘᲖᲘ, 31 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲘ. (ᲡᲐᲯᲓᲔᲡᲘ). ᲙᲝᲠᲔᲡᲞᲝᲜᲓᲔᲜᲢᲘ Მ. ᲒᲐᲠᲐᲡᲔᲕᲘ ᲘᲣᲬᲧᲔᲑᲐ:

„ᲒᲣᲨᲘᲜᲓᲔᲚᲘ ᲮᲔᲓᲝᲛᲐᲖᲔ ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ ᲓᲔᲚᲔᲒᲐᲪᲘᲐᲛ ᲬᲐᲛᲝᲐᲧᲔᲜᲐ ᲬᲘᲜᲐᲓᲐᲓᲔᲑᲐ ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚᲘ ᲬᲘᲜᲐᲓᲐᲓᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲐᲮᲚᲘᲡ ᲓᲔᲚᲔᲒᲐᲪᲘᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲕᲘᲗ ᲠᲔᲕᲝᲚᲣᲪᲘᲣᲠᲘ ᲛᲝᲚᲐᲞᲐᲠᲐᲙᲔᲑᲘᲡ ᲓᲔᲚᲔᲒᲐᲪᲘᲘᲡ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ

ᲡᲐᲛᲮᲠᲔᲗ ᲕᲘᲔᲢᲜᲐᲛᲘᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲓᲠᲝᲔᲑᲘᲗᲘ ᲠᲔᲕᲝᲚᲣᲪᲘᲣᲠᲘ ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲠᲗᲐ ᲓᲔᲚᲔᲒᲐᲪᲘᲐᲛ ᲬᲐᲛᲝᲐᲧᲔᲜᲐ ᲬᲘᲜᲐᲓᲐᲓᲔᲑᲐ ᲐᲮᲚᲘᲡ ᲐᲚᲨᲤᲝᲗᲔᲑᲐ, ᲠᲝᲛᲚᲘᲡᲐᲪ ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ ᲨᲔᲠᲗᲘᲗᲔᲑᲣᲚᲘ ᲨᲢᲐᲢᲔᲑᲘᲡ ᲓᲔᲚᲔᲒᲐᲪᲘᲐᲡᲗᲐᲜ ᲣᲨᲐᲕᲗᲐᲠᲝᲑᲘᲡ ᲓᲔᲚᲔᲒᲐᲪᲘᲘᲡ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ

ᲞᲐᲠᲘᲖᲘ, 31 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲘ. (ᲡᲐᲯᲓᲔᲡᲘ). ᲙᲝᲠᲔᲡᲞᲝᲜᲓᲔᲜᲢᲘ Მ. ᲒᲐᲠᲐᲡᲔᲕᲘ ᲬᲔᲠᲡ ᲐᲠᲘᲡ ᲨᲔᲠᲗᲘᲗᲔᲑᲣᲚᲘ ᲨᲢᲐᲢᲔᲑᲘᲡ ᲓᲔᲚᲔᲒᲐᲪᲘᲘᲡ ᲓᲔᲚᲘᲡᲬᲘᲜᲓᲐᲓᲔᲑᲐᲡ ᲐᲠᲐᲑᲗᲐ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲓᲔᲚᲔᲒᲐᲪᲘᲐᲛ ᲬᲐᲛᲝᲐᲧᲔᲜᲐ ᲬᲘᲜᲐᲓᲐᲓᲔᲑᲐ ᲐᲮᲚᲘᲡ ᲐᲚᲨᲤᲝᲗᲔᲑᲐ, ᲠᲝᲛᲚᲘᲡᲐᲪ ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ ᲨᲔᲠᲗᲘᲗᲔᲑᲣᲚᲘ ᲨᲢᲐᲢᲔᲑᲘᲡ ᲓᲔᲚᲔᲒᲐᲪᲘᲘᲡ ᲓᲠᲝᲘᲗᲘ ᲠᲔᲕᲝᲚᲣᲪᲘᲣᲠᲘ ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲠᲗᲐᲗᲐᲜ — ᲡᲐᲛᲮᲠᲔᲗᲕᲘᲔᲢᲜᲐᲛᲘᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲓᲠᲝᲔᲑᲘᲗᲘ ᲠᲔᲕᲝᲚᲣᲪᲘᲣᲠᲘ ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲠᲗᲐᲗᲐᲜ.

ᲛᲔᲡᲘᲯᲔᲣᲚᲔᲑᲐᲗᲐ ᲔᲠᲗᲘᲐᲜᲝᲑᲐ

ᲞᲐᲠᲘᲖᲘ, 31 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲘ. (ᲡᲐᲯᲓᲔᲡᲘ). ᲐᲠᲐᲕᲘᲗᲐᲠᲘ ᲕᲔᲯᲠᲘ ᲐᲠ ᲐᲠᲘᲡ, ᲠᲝᲛ ᲩᲔᲮᲝᲡᲚᲝᲕᲐᲙᲘᲡ ᲓᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲨᲔᲣᲓᲔᲡᲚᲝᲑᲐᲗᲐ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲗᲘᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘ ᲐᲠᲐᲛᲐᲠᲗᲚᲘᲡ ᲓᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲛᲔᲠᲕᲔ ᲓᲐᲮᲛᲐᲠᲔᲑᲐᲡ ᲣᲬᲔᲒᲡ. ᲔᲡ ᲛᲝᲚᲐᲞᲐᲠᲐᲙᲘᲗ ᲓᲐᲛᲧᲐᲠᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐᲨᲘ, — ᲔᲡ ᲛᲝᲚᲐᲞᲐᲠᲐᲙᲘᲗᲔᲑᲘ ᲣᲜᲓᲐ ᲓᲐᲬᲧᲝᲡ ᲡᲐᲛᲮᲠᲔᲗ ᲕᲘᲔᲢᲜᲐᲛᲘᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲓᲠᲝᲔᲑᲘᲗᲘ ᲠᲔᲕᲝᲚᲣᲪᲘᲣᲠᲘ ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲠᲗᲐᲗᲐᲜ — ᲡᲐᲛᲮᲠᲔᲗᲕᲘᲔᲢᲜᲐᲛᲘᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲓᲠᲝᲔᲑᲘᲗᲘ ᲠᲔᲕᲝᲚᲣᲪᲘᲣᲠᲘ ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲠᲗᲐᲗᲐᲜ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲓᲐᲛᲝᲙᲘᲓᲔᲑᲣᲚᲘ ᲞᲘᲠᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲐᲦᲛᲓᲒᲘ.

ᲐᲛ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲡᲐᲛᲮᲠᲔᲗ ᲕᲘᲔᲢᲜᲐᲛᲘᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲓᲠᲝᲔᲑᲘᲗᲘ ᲠᲔᲕᲝᲚᲣᲪᲘᲣᲠᲘ ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲠᲗᲐᲗᲐᲜ ᲐᲮᲚᲘᲡ ᲐᲚᲨᲤᲝᲗᲔᲑᲐ ᲐᲠᲐᲑᲣᲚᲘ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲞᲠᲘᲜᲪᲘᲞᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ ᲓᲐᲛᲧᲐᲠᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐᲨᲘ, — ᲔᲡ ᲛᲝᲚᲐᲞᲐᲠᲐᲙᲘᲗᲔᲑᲘ ᲣᲜᲓᲐ ᲓᲐᲬᲧᲝᲡ ᲡᲐᲛᲮᲠᲔᲗ ᲕᲘᲔᲢᲜᲐᲛᲘᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲓᲠᲝᲔᲑᲘᲗᲘ ᲠᲔᲕᲝᲚᲣᲪᲘᲣᲠᲘ ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲠᲗᲐᲗᲐᲜ.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲐᲖᲦᲕᲠᲘᲗ ᲛᲝᲡᲐᲖᲠᲘᲡᲘ

ᲛᲔᲮᲔᲓᲣᲚᲔᲑᲐᲗᲐ ᲔᲠᲗᲘᲐᲜᲝᲑᲐ

ᲞᲠᲐᲰᲐ, 31 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲘ. (ᲡᲐᲯᲓᲔᲡᲘ). ᲐᲠᲐᲕᲘᲗᲐᲠᲘ ᲕᲔᲯᲠᲘ ᲐᲠ ᲐᲠᲘᲡ, ᲠᲝᲛ ᲩᲔᲮᲝᲡᲚᲝᲕᲐᲙᲘᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲛᲔᲠᲕᲔ ᲓᲐᲮᲛᲐᲠᲔᲑᲐᲡ ᲣᲬᲔᲒᲡ ᲐᲠᲐᲠᲘᲗᲐᲠᲘ ᲕᲔᲯᲠᲘᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲬᲠᲔᲑᲘ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲘᲡ ᲓᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲬᲠᲔᲑᲘ ᲐᲠ ᲬᲐᲛᲝᲐᲧᲔᲜᲔᲑᲓᲐ.

ᲠᲐᲒ ᲨᲔᲔᲮᲔᲑᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲡ, ᲘᲒᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲐᲠᲐᲑᲣᲚᲘ ᲢᲔᲠᲘᲢᲝᲠᲘᲔᲑᲘᲓᲐᲜ. ᲒᲕᲘᲜᲓᲐ ᲓᲐᲜᲘᲨᲜᲣᲚᲘᲐ ᲠᲝᲛ ᲨᲔᲛᲓᲒᲝᲛ ᲙᲝᲜᲤᲚᲘᲥᲢᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲫᲚᲘᲠᲔᲑᲘᲡ ᲗᲐᲕᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲩᲜᲓᲐ ᲠᲝᲛ ᲐᲠᲐᲠᲐᲛᲝᲬᲛᲔᲑᲣᲚᲘ ᲞᲠᲘᲜᲪᲘᲞᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ ᲓᲐᲛᲧᲐᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠ

დამნაშავენი დაისაჯნენ

პარტიასა და მთავრობას არაერთხელ აღუნიშნავთ, რომ თვითეულ საწარმოში უნდა ხორციელდებოდეს კონკრეტული ორგანიზაციულ-ტექნიკური ღონისძიებანი ხალხის დოვლათის დაცვის უზრუნველყოფისათვის.

პრაქტიკა ცხადყოფს, რომ იქ, სადაც არღვევენ სოციალისტური შეურნეობრობის წესებს, არ არის მკაცრი აღრიცხვა და ანგარიშგება, კონტროლი მატერიალურად პასუხისმგებელი პირების საქმიანობისადმი, სადაც არ იცავენ კადრების შერჩევისა და დაწინაურების წესებს, ხშირად ხდება გაფლანგვა და მიტაცება.

ამიტომ გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ამ ნაკლოვანებათა გამოვლინებასა და აღმოფხვრას, საწარმოთა და ორგანიზაციათა იმ ხელმძღვანელებისა და თანამდებობის პირების მკაცრ პასუხისგებაში მიცემას, რომლებიც იჩენენ უყაირათობას, უფარდღლობას, დაუდევრობას.

ამასთან დაკავშირებით დამახასიათებელია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს „საქონსერვხილბოსტნის“ სახელმწიფო კომიტეტის ხილეკენაროვანი ღვინოების საამრთველოს ლაგოდეხის ქარხნის მაგალითი, რომლის საქმიანობას ამოწმებს საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტი.

სადირექტივო ორგანოების მრავალი მითითების მიუხედავად, ქარხანაში არ იცავენ ნედლეულისა და პროდუქციის პირველადი აღრიცხვის ელემენტარულ წესებსაც კი.

ქარხანაში არ წარმოებს მუშაობა ჟურნალის ტევადობის გაზომვისა და დაყალიბებისათვის, ირღვევა დადგენილი წესი და ხილეკენაროვან ღვინოებს, ღვინის მასალასა და სპირტს ასხამენ გაუზომავ და უსტანდარტო ტარაში, რითაც წინასწარი განზრახვით ქმნიან პირობებს, რომლებიც ართულებენ ღვინისა და ღვინის მასალის ფაქტიური რაოდენობის დადგენას.

უაღრესად მიუშვებელია ნედლეულის მიღების, მოძრაობისა და გადამუშავების პირველადი აღრიცხვა. მაგალითად, 26-28 სექტემბერს მიღებულ 26,4 ტონა სხვადასხვა ხილს არ მქონია სასაქონლო-მატერიალური ზედნადები და სამუშაოსავლო სახუთები, ამასთან ხილი საამქროს გადასამუშავებლად გადასცეს ლაბორატორიის ანალიზის გარეშე.

გამოვლინდა ფაქტები, როცა მეაობის აღრიცხავი რაოდენობის შექმნის მიზნით, რათა იგი შემდგომ გამოეყენებინათ პროდუქციის გამოშვებისას, 22 გრამი ლიტრში მეაობის მქონე ნედლეული, რომელიც დამამზადებლებმა ჩააბარეს, მიღების დროს ქარხანაში გააფორმეს როგორც 18 გრამი ლიტრში მეაობის მქონე ნედლეული. შერჩევითი შემოწმების დროს მარტო ერთ დამამზადებელს უპოვეს 4 ახეთი ყალბი სახუთი 2 ტონა ნედლეულზე.

ქარხნის ხელმძღვანელობა უხეშად აღღვევს სახელმეკრულებო ვალდებულებებს, რის შედეგად 1968 წელს და მომდინარე წლის 6 თვეში მომხმარებლებმა ლაგოდეხის ქარხანას ჯარიმის სახით გადაახდევინეს 14 ათასი მანეთი, ხოლო ყველა არამწარმოებლურმა ხარჯმა 20,2 ათასი მანეთი შეადგინა.

მატერიალურად პასუხისმგებელმა პირმა რეხვიაშვილმა უსტ-კამენოგორსკის პურის კომბინატს ხელშეკრულების დაუდებლად გაუგზავნა 20 ტონა არასწორად დაკუპაუებული ბრეზეულის ეკსტრაქტი. მიუხედავად ამისა, რომ პურის კომბინატმა მრავალჯერ შეატყობინა მიმწოდებელს, რომ ზემოაღნიშნული ეკსტრაქტი მისი წარმოებისათვის უვარგისია, ლაგოდეხის ქარხნის ხელმძღვანელობამ მხოლოდ რესპუბლიკის სახალხო კონტროლის კომიტეტის ჩარევის შემდეგ დაიბრუნა ეს ეკსტრაქტი. საამქროს უფროსი რეხვიაშვილი, რომლის მიზეზით მარტო სატრანსპორტო ხარჯებისათვის წარმოებამ 2,8 ათასი მანეთი იზარალა, დირექტორის ბრძანებით მიმდინარე წლის მაისში სამუშაოდან მოხსნეს, მაგრამ ზარალი არ აუნაზღაურებია. რეხვიაშვილი კვლავ იღებდა ხელფასს, ხოლო 106 ათასი დ/ლ ღვინის მასალა, რომელიც მასზედ იმ დროისათვის ირიცხებოდა, არ გადასცეს ახლად დანიშნულ მატერიალურად პასუხისმგებელ პირებს.

ქარხნის დირექტორი პ. პაქსაშვილი მთლიანად უგულებელყოფს მატერიალურად პასუხისმგებელი და თანამდებობის პირთა შერჩევისა და განაწილების პრინციპს, რომელთა განკარგულებაშია ქარხნის სასაქონლო-მატერიალური ფასეულობანი.

3. პაქსაშვილმა მატერიალურად პასუხსაგებ თანამდებობებზე მიიღო ადამიანები, რომლებმაც სახელი მოიხადეს სოციალისტური საკუთრების მიტაცებისათვის. მაგალითად, მიმდინარე წლის მაისში ღვინის საამქროს ბრიგადირად, ხოლო ივლისში — უფროსად დანიშნეს ვინმე დადიანი, რომელმაც წარსულში უულადი სახსრების მიტაცებისათვის 10 წლის პატიმრობა მიიღო. ამ საამქროს ცვლის უფროსად კი 1969 წლის ივლისში პატიმრობიდან განთავისუფლების შემდეგ, დანიშნეს სხირტლაძე, რომელსაც თბილისის კვების კომბინატში მუშაობის დროს 10 ტონა სპირტის მიტაცებისათვის 1966 წელს 5 წლის პატიმრობა მოუსაჯეს.

უნდა აღინიშნოს, რომ „საქონსერვხილბოსტნის“ სახელმწიფო კომიტეტის „საქხილღვინის“ სამმართველოს რამდენჯერმე მიუცია მითითება ქარხნის ხელმძღვანელობისათვის, რომ აღმოეფხვრათ ეს ნაკლოვანებანი. მაგრამ ქარხნის ხელმძღვანელობა ამ მითითებებს არ ასრულებდა, ხოლო „საქხილღვინო“ სუსტ კონტროლს უწევდა თავისი ბრძანებებისა და მითითებების შესრულებას.

რესპუბლიკის სახალხო კონტროლის კომიტეტმა განიხილა ქარხნის საქმიანობის შემოწმების მსვლელობის საკითხი და დავალებული საქმისადმი დაუდევარი და უპასუხისმგებლო დამოკიდებულებისათვის, რამაც განაპირობა უხეში დარღვევები საწარმოს საქმიანობაში, პირობები შეუქმნა სახელმწიფო საკუთრების მიტაცებას, თანამდებობიდან გაანთავისუფლა ლაგოდეხის ხილეკენაროვანი ღვინოების ქარხნის დირექტორი პ. პაქსაშვილი.

თანამდებობიდან გაათავისუფლეს აგრეთვე ღვინის საამქროს უფროსი დადიანი და ამავე საამქროს ცვლის უფროსი სხირტლაძე; მკაცრად დასაჯეს აგრეთვე ის პირები, რომლებსაც დანაშაული მიუძღვით ნედლეულის მიღების წესის დარღვევაში.

ლაგოდეხის ხილეკენაროვანი ღვინოების ქარხნის საქმიანობის შემოწმება გრძელდება. (საქდესი).

ირაკლი აბაშიძე

ჰიმნი სიცოცხლეზე
დედამიწაზე

„ჩვენ, კაცთა, მოგვცა ქვეყანა,
ფეაქვს უთვალავი ფერითა“

რუსთაველი.

მაშ, მორჩა...
შეწყდა, —
არვინ დაეძებს,
სიცოცხლის კვალიც არ ჩანს მთვარეზე;
უდაბნოს ქვა და ქვიშა სამარის,
დუმილი უფსკრულ ზეცის კამარის;
დუმილი ჩამქრალ ოქროს თვალებზე;
სიცოცხლის კვალიც არ ჩანს მთვარეზე,
არ ჩანს, არ არის
არ ჩანს, არ არის.

მარსიც, ვენერაც,
მარსიც, ვენერაც
ელავს და ბრწყინავს, მაგრამ მერე რა,
სიცოცხლის არ ჩანს მათზეც ნასახი, —
თითქოს ოდესღაც, თითქოს ნამდვილად
უცნობ სატევრით, უცნობ ნაჯახით
ერთად მოსპოს ათას ატილას,
ათას ტამერლანს, ათას კანარისს;
სიცოცხლის არ ჩანს მათზეც ნასახი,
არ ჩანს, არ არის,
არ ჩანს, არ არის.

მაშ, იამაყე,
მაშ, განიცადე!
სიცოცხლე არის მხოლოდ მიწაზე,
სიცოცხლე არის მხოლოდ მიწაზე;
ყველა სინათლე, ყველა სასავსე,
ყველა სხვაობა, ყველა მსგავსება,
ყველა დაბრობა, ყველა გავსება,
ყველა ატყორცნა, ყველა დაშვება,
მხოლოდ მას ერგო ეს დაფასება;
სიცოცხლე არის მხოლოდ მიწაზე,
მხოლოდ მის გაშლილ გულის ფიცარზე;
სიცოცხლე არის
მხოლოდ
მიწაზე.

სიცოცხლე ლაღად დადის ხმელეთზე;
სიცოცხლე მარჯვედ წყლებში დაცურავს,
სიცოცხლეს ზეცად ადგას ხელებზე,
სიცოცხლე ჭირშიც ძლებს ვაჟკაცურად;
სიცოცხლეს ყინვის ხმლით ვერ გაჰყინავ,
სიცოცხლე ღუღს, გინდ წარღვნად იავდროს,
სიცოცხლე ლაჟვარდ ცაში დფრინავს,
სიცოცხლე მხურვალ ქვებში ბინადრობს.
სიცოცხლე ფეხვზე მწვანედ შრიალებს,
სიცოცხლეს ზეცა ჰქარგავს მზრუნველი;
სიცოცხლე ასფრად ყღერს და ციალებს,
სიცოცხლის ფერებს ასდით სურნელი.
სიცოცხლე სმენად დგას დაძაბულად,
სიცოცხლეს ელვად უკრთის თვალები;
სიცოცხლე მზის ქვეშ სუნთქავს გაბმულად,
სიცოცხლე მკერდქვეშ ძგერს გამალებთ;
სიცოცხლე მიწის ზურგზე ჩახჩახებს,
სიცოცხლეს ქვეყნად უდგას ზეიმი;
მიწაზე აწმყოს დგას სრა-სასახლე,
მიწაზე ნამყოს დგას მუზეუმი.
სიცოცხლე დადის როგორც მოძღვარი, —
სიყვარულს, აზრს და მიზნებს ამაღლებს,
შენ ხარ ცოცხალი, შენ ხარ ცოცხალი,
მაშ, ბაიხარე,
მაშ, იამაყე!

ქვეყნად სიმღერა არის უთვლელი,
არის ბომერის, არის რუსთველი,
მაგრამ
მიწაზე ბუდობს ხანძარიც,
ბუდობს სიკვდილიც უზარმაზარი.
მაგრამ მიწაზე ბუდობს ხანძარიც,
რომ მიწა ცაში ფერფლად ასწიოს,
რომ თვალდათხრილი, რომ მკერდდამწვარი
ჩვენი პლანეტაც მთვარედ აქციოს.
მაშ, აღიმართე,
მაშ, განიცადე!
მაშ, სულ აერთე, მაშ, სულ დარაზმე!
სიცოცხლე არის მხოლოდ მიწაზე,
მაშ, მიეშველე, მაშ უდარაჯე!
მაშ, აღიმართე, მაშ განიცადე,
დადექ მის გაშლილ გულის ფიცარზე...
სიცოცხლე არის მხოლოდ მიწაზე;
სიცოცხლე
არის
მხოლოდ
მიწაზე.

ჩაუქრობელი ცეცხლი

ბაესლენება 46 წლის შეიდეგ

გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში საქართველოს კულტურის დღეებთან დაკავშირებით იქ მიწვეულია ძველი ბოლშევიკი, რევოლუციის ვეტერანი დავით ვლადიმერის-ძე ლომაძე. იგი თავისი წარსულით დაკავშირებულია გერმანიის მუშათა კლასის რევოლუციურ მოძრაობასთან, პირადად იცნობდა ერნსტ ტელმანს, ვილჰელმ პიკს და სხვა გამოჩენილ მოღვაწეებს.

ამასთან დაკავშირებით ვბეჭდავთ მის მოგონებას, რომელიც სპეციალურად დაწერილია გაზეთ „კომუნისტისათვის“.

ბოჟაშვილების დრო მშობლიურ საქართველოში მაქვს გატარებული. ჩემი სკოლის ამხანაგები, რომლებთანაც მეგობრობა იაკობ გოგებაშვილის „დედა-ენით“ დავიწყე, ყველანი მამულის სიყვარულით დაიზარდნენ და დავაყაცდნენ.

ათეული წლების შემდეგ ბევრი მათგანი ცოცხალი აღარ არის. განა მარტო სკოლის ამხანაგები დამეღუპნენ და დამეკარგნენ?! უფრო მეტიც, სიტყვა ვერ მომნახავს იმის გამოსათქმელად, თუ რა ეცვლებად ენთება სულსა და გულს იმაზე ფიქრი, რომ ბრტიული მეგობრებიდანაც, ვისთანაც მხარდამხარ მიბრძოლია, ულმობელმა ბედმა თითო-ოროლა თუ შემარჩინა. წავიდნენ, დაიღუპნენ, წარსულში ჩაიძირნენ. ამირთა ლეგიონნები, რომელთა ხსოვნა ნათელ სხივებად არის ჩართული ჩვენს გამარჯვებაში, რევოლუციის დიდებაში.

სტუდენტობის პერიოდი, ყველა ადამიანის ცხოვრების ეს საუკეთესო ნაწილი, ავსტრიასა და გერმანიაში მაქვს გატარებული. უნივერსიტეტში სწავლის გარდა ამ ქვეყნების მუშებსა და მოსამსახურეებს შორის ვმუშაობდი და მათთან ერთად წლები გამიტარებია.

დაუვიწყარია ის სამი წელი, როცა ავსტრიის კომპარტიის პრატერის (მეორე ბეცირკის) ორგანიზაციის უჯრედის ხელმძღვანელად ვიყავი არჩეული.

რამდენი არალეგალური შეკრება ჩავიტარებია ცნობილი ვენის ტყეში და რამდენჯერ გაგვირღვევია დემონსტრაციის დროს ვენის ცხენოსან პოლიციელთა მიერ გადაკეტილი რინგშტრასე, მარიამ პილფეშტრასე და სხვა მრავალი ქუჩა ვვრჩის ამ ერთ-ერთი უმშვენიერესი ქალაქისა.

ვენა, ვენა! მუდამ სიცოცხლით სავსე ლამაზო დედაქალაქო ბეთჰოვენის მშობლიური ქვეყნისა, იცი შენ, თუ რამდენი მეგობრები გყავს დღესაც სხვა ქვეყნად გადახვეწილი, რომლებიც მუდამ ტკბილად გიგონებენ და მარად შენი ერთგული რჩებიან! მათ შორის მეც მიგიულე.

გერმანიაში სწორედ იმ წლებში მომიხდა ყოფნა, როცა ჰიტლეცოლერთა დინასტიის ტასტის დამხობის შემდეგ დაიწყო თავგანწირული ბრძოლები ახალი ცხოვრებისათვის. ცოცხალი მოწმე ვარ იმისა, თუ რა გადაიტანა, რას გაუძლო იქაურმა მუშათა კლასმა იმ დროს, როცა ის რეაქციას შეეჯახა და გამხეცებულ ფაშიზმს წინააღუდგა.

რამდენი სიყვარული და პატივისცემა ჩამოვიტანე ამ ქვეყნებიდან სამშობლოში დაბრუნებისას! სიყვარული იმ ამხანაგებისა, რომლებთანაც ერთად ვსწავლობდი, ერთგულება იმ მეგობრებისა, რომლებთანაც ერთად ვიქეცი, როგორც საქართველოში, არაღეგალურად მიმუშაენია, მიბრძოლნია ბარიკადებზე, მათთან ერთად საბჭოთა ხელისუფლებისა და პროდუქციის პირველადი აღრიცხვის ელემენტარულ წესებსაც კი.

ქარხანაში არ წარმოებს მუშაობა ჟურნალის ტევადობის გაზომვისა და დაყალიბებისათვის, ირღვევა დადგენილი წესი და ხილეკენაროვან ღვინოებს, ღვინის მასალასა და სპირტს ასხამენ გაუზომავ და უსტანდარტო ტარაში, რითაც წინასწარი განზრახვით ქმნიან პირობებს, რომლებიც ართულებენ ღვინისა და ღვინის მასალის ფაქტიური რაოდენობის დადგენას.

1969 წელს გამოგზავნოთ ამმ. დავით ლომაძე თავისი მეუღლითურთ, რომელთაც ახლო დამოკიდებულება ქონდათ ამ ადამიანის რევოლუციურ შეგნებასთან, ბარიკადების საქმის ცოდნის მის უბადლო ნიჭთან. მან ბერლინად შემოიტანა ბარიკადების ისტორიაში მოძრავი ბარიკადების სისტემა. რაიხსვერის გენერლებს ვერ გაეგოთ, თუ რაში იყო საქმე და ყოველთვის განცვიფრებული რჩებოდნენ, როცა მათი ჯარისკაცები შტურმით იღებდნენ... ცარიელ ბარიკადებს.

როგორია ჩემი სიხარული, როცა წლების მანძილზე ოცნებად გადაქცეული ნატვრა მისრულდება, როცა გავიგე, რომ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის კულტურის სამინისტრომ მომართვა გამოუგზავნა საქართველოს კულტურის სამინისტროს, სადაც სწერდა:

„ძალიან გთხოვთ თქვენი კულტურის დღეებთან დაკავშირებით შათა კლასმა ჩაწერა თავის ისტორიაში, ჰამბურგის ბარიკადების სახელით დაკავშირებული ამ ადამიანის რევოლუციურ შეგნებასთან, ბარიკადების საქმის ცოდნის მის უბადლო ნიჭთან. მან პირველად შემოიტანა ბარიკადების ისტორიაში მოძრავი ბარიკადების სისტემა. რაიხსვერის გენერლებს ვერ გაეგოთ, თუ რაში იყო საქმე და ყოველთვის განცვიფრებული რჩებოდნენ, როცა მათი ჯარისკაცები შტურმით იღებდნენ... ცარიელ ბარიკადებს.



ალექსანდრე კუტალია, რომელსაც თქვენ ამ ფოტოზე ხედავთ, ზუგდიდის რაიონის სოფელ რუხის მკვიდრია. მის თვალწინ გაიზარდა და ბარაქა შეემატა რუხს. ჩაის ხავერდოვანი პლანტაციები, ტანაშოლტილი სიმინდის უანები ამშვენებენ მის მინდვრებს — კოლმეურნეთა გარჯით მონაგართ. ა. კუტალია უნარიანად უძღვება თანასოფლელთა ცხოვრებას.

ფოტო ი. ნანიკაშვილისა
(საქდესის ფოტოქრონიკა).

სოფლის თავკაცი

პუბლიცისტის უბის წიგნაკიდან

ქართველი გლეხი

ეკეთაროდით ამ დღეებში საქართველოს გაზეთებში დაბეჭდილ ქართველ კოლმეურნეთა ყრილობის მონაწილეების ფოტოსურათებს, ტელევიზიით და რადიოთი ვუსმენდი მათს სიტყვებს. და განცვიფრებას, აღტაცებას საზღვარი არა ჰქონდა.

მართლაცდა, ჯერ ნახევარი საუკუნეც არ გასულა მას შემდეგ, რაც ახალი, სოციალისტური საქართველო დაიბადა. ნახევარი საუკუნე მცირე დრო როდია ადამიანის ცხოვრების გზაზე, მაგრამ ის ხომ წამიც არ არის ერის, ხალხის ისტორიაში.

თუმცა სოციალისტური ცხოვრების ნახევარი საუკუნე ასწლეულებს უდრის! ჩვენი თაობის ადამიანს კარგად ახსოვს ძველი საქართველო, ნინოშვილის გურია, უტუ მიქავა სამეგრელო, კაკო ყაჩღის კახეთი, მაია წყნეთელის გმირობა შორეულ წარსულად კი არა, უახლოესი დღეების ამბად გვეჩვენებოდა.

ჩვენ სხვაც გვახსოვს — პატარა ფაცა, შუა ცეცხლი, კვამლით დაცრემლილი თვალები. გამქრალი ქარი, და აქ აი ამ შუა ცეცხლთან ბავშვებიც ითბობდნენ ხელს, აქვე გოჯიც ლუტუნებდა, დეკეულიც იცხინებოდა.

გვახსოვს — უთენია, ცაზე კიდევ მთვარე რომ ანათებდა და ცისკრის ვარსკვლავი კიაფობდა, მიწის მუშა უკვე ფეხზე იდგა, ქოთანში ცივ ლობიოს გამზმარი ქადის ნატეხს ამოუსვამდა, ერთ ჭიქიანა სახარკო ღვინოს გადაპრკვიდა და დაისის „ამამდე შობილ მიწას ერკინებოდა. ზამორობით აჩაჩა ურმით მთაში მიდიოდა, ორიოდე ღერი შეშა რომ ჩამოეტანა.

მეორე სამუშაოს ეძებდა ან რკინიგზაზე ან ჩვენს ნავსადგურებში ფოთსა თუ ბათუმში. ასე იყო მთიან იმერეთში, მთას ხომ ჩვენი მამულის დიდი ნაწილი უჭირავს. მიცხოვრია ქართლშიც, კახეთშიც, აჭარაშიც, და იქაც დუხჭირი ცხოვრების მეტი არაფერი მინახავს.

ხარაგოულის რაიონში ძირიანი თუ უძირო ჩექმა ორ-სამ აზნაურს ეცვა. კალოში მეორნი პოლიციმეისტერის ცოლს ჰქონდა. მთისა თუ ბარის საქართველოს გლეხმა არც კი იცოდა, რა იყო პიანინო, როიალზე რომ არაფერი ეთქვათ. კიცხიდან თუ ბორიდან ხარაგაულს თუ ყვირილას მიმავალი გლეხი ფეხშიშველა, შარვალდაკაბიწეული მიაბიჯებდა, დიბას რომ მიუახლოვდებოდა, წყაროსთან ან მდინარეში ფეხს გაიბანდა და წინდასა და ქალამანს ჩაიცვამდა. თავმოყვარე იყო ჩვენი გლეხი, ფეხშიშველას უცხოთა შორის სირცხვილი ერიდებოდა.

ყოველივე ეს საშინელი საუკუნეებში კი არა, ამ მეოცე საუკუნეში ხდებოდა. სანამ ოქტომბრის დღეებში ლენინის ხელით დარეკილმა ზარმა კაცობრობას არ ამცნო ახალი სამყაროს დაბადება.

ასე იყო, და ისიც იყო, რომ ქართველი გლეხი საუკუნეების შანძილზე ლექსს თხზავდა, გალობდა, მღეროდა, ფიქრობდა, ოცნებობდა, მახვილ სიტყვას ოსტატურად ხმარობდა. მის სულში, მის გულში, მის არსებაში, მის აზრში, მის ფიქრში ძვეს შთთას, ტატოს, ვაჟას, აკაკის, ილიას გენიის ფუძე და საძირკველი.

ქართველი გლეხი ყოველთვის თავგამოდებით იცავდა უცხო დამპყრობლებთაგან თავის სამშობლოს, თავის საქართველოს. რამდენმა უცნობმა ქართველმა გლეხმა მორწყა ჩვენი მიწა არა მარტო ოფლით, სისხლითაც.

რით აიხსნება ქართველი გლეხის და საერთოდ, ყველა ქვეყნის მიწის მუშის, ასეთი პატრიოტიზმი?

ფ. ენგელსი წერს: „ფრანგი გლეხის ეროვნული გრძნობა ფანატიზმამდე მიდის. საფრანგეთმა მისთვის მიიღო უდიდესი მნიშვნელობა მას შემდეგ, რაც მემკვიდრეობითი საკუთრების უფლებით საფრანგეთის პატარა ნაკვერს ფლობს. უცხოელებს ის იცნობს მხოლოდ როგორც ფლობის დამპყრობელთა არმიებს, რომელნიც აწიოკებენ და ანადგურებენ ქვეყანას და, რომელნიც მას უდიდეს ზარალს აყენებენ. ამით აიხსნება ფრანგი გლეხის უსაზღვრო გრძნობა, მის საზღვრება გადაცილებული სიძულვილი უცხოელისადმი“.

ახლა ქართველი გლეხი, ქართველი კოლმეურნე ფლობს საქართველოს არა პატარა ნაკვერს, არამედ მთელი სამშობლოს მთელ მიწაწყალს, ჩვენი ქვეყნის სხვა სოციალურ ფენებთან ერთად ის ფლობს ჩვენი ქვეყნის მთელ სიმდიდრეს, სულიერი და მატერიალური კულტურის ყველა ძეგლს, ის, როგორც სრულუფლებიანი წევრი, მონაწილეობას იღებს ჩვენი სოციალისტური სახელმწიფოს მართვა-გამგეობაში. ქართველი კოლმეურნე კაცობრიობის პროგრესის ავანგარდში იმყოფება. ის იცნობს წარსულს, იცის დღეგანდელი დღის ფასი და ხედავს მომავლის პერსპექტივას.

საქართველოს მთავრობის სასახლის დიდ დარბაზში საკოლმეურნეო ცხოვრების მომავალზე ბჭობდნენ განათლებული. დიდი ცხოვრებისეული გამოცდილებით აღჭურვილი, გონიერი ხელმძღვანელები დიდი მეურნეობებისა და რიგითი კოლმეურნეები.

შეხედეთ ჩვენს კოლმეურნეთა სახეებს, ჩახედეთ მათს თვალებს! ეს ხალხი რაღაც მეცნიერულ სიმპოზიუმზე შეკრებილა, რომ აქ აკადემიკოსთა, სწავლულთა, პროფესორთა ყრილობაა.

წელში მოხრილი კი არა, გაშართული, ვაჟკაცური შეხედულებით შეპყურებს ქართველი კოლმეურნე დღეს მშობლიური ცის ლაჟვარდს. დინჯი, ამაყი, ჭკვიანი ქართველი კოლმეურნე ქართველ მუშასთან, გონებრივი შრომის მუშაკთან ერთად ეწევა ამ ცხოვრების არცთუ რსუბუქ ტვირთს. ჩვენ უზარმაზარ ამოცანებს ვის ჩავთ, ამ ამოცანების გადაჭრა ბევრ ახალ პრობლემას, კითხვას ბადებს სიცოცხლე ხომ სწრაფეა, და ჩვენ ახალი გამარჯვებისაკენ მივისწრაფით.

ქართველ კოლმეურნეს კარგად ესმის, რომ გამარჯვება მოიპოვა მშრომელთა ინტერნაციონალურ ერთობაში, რომ ეი აქ, მამაპაპათაგან ნაანდერძევ მიწაზე, ჩვენი გარჯით, ჩვენი შრომით ჩვენ განვამტკიცებთ დიდი საბჭოთა სახელმწიფოს სიძლიერეს.

ამ საუკუნის გარიჟრაჟზე ქართველი გლეხი გვერდში ამოუდგა ლენინს, მის ერთგულ მოწაფეებსა და თანამებრძოლებს ამ საუკუნის უკანასკნელ მესამედში ქართველი კოლმეურნე ( ) ( ) ( )

მამაცური პროფესიის ადამიანები

ზღვის ძახილი

ნადირობა ვეშაპებზე

მძიმე პროფესია აქვს მებადურს, მით უფრო, ვეშაპთმჭერს, რომელსაც სარბელად ოკეანე გაუზდია. თვალუწვდენი სტიქია ზოგჯერ ისე მოულოდნელად გახელდება, გაცოფდება, ისე ბოროტად აფორიაქდება, ნავთსაყუდარამდე ვეღარ მიასწრებ. მაშინ იწყება სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა 9-12-ბალიან ტალღებთან. სტიქია ხან მთასავით წამოიმართება, ხანაც უფსკრულის მსგავსად გაიხსნის უბეს, გზა თოხიგე მხრივ მოჭრილი გაქვს, მაშველი ასობით კილომეტრის დაშორებით არის. სიცოცხლის ინსტინქტი გაიძულებს ჩაება უთანასწორო ბრძოლაში. იბრძვი ხანგრძლივად, ზოგჯერ მთელი დღე და ღამე, სტიქიას არ ნებდები. ბრძოლა კი ისეთი დაუნდობელია, რომ ბევრჯერ უნებურად გაფიქრებინებს, ოღონდ ახლა გადავრჩებოდე, ოღონდ ამ საფრთხეს თავს დავაღწევდე, გადავრჩებოდე მუდრეგ აქეთ-იქეთ პირს ალარ ვიზამ... ძალების არადამიანური დაძაბვის შედეგად მომაკვდინებელი საფრთხეს თავს აღწევ, ცოცხალი ბრუნდები, და ერთი კვირის შემდეგ საფრთხე, და საშიშროება გაიწყდება, მოუსვენრობა გაქარობს, რაღაც იდუმალი ძალა ისევ იქითაკენ, ტალღებისაკენ გიზიდავს, და მაშინ ამბობ, ზღვა მეძახისო.

ზღვის ეერგობას მის გაფთრებას მრავალი სიცოცხლე შეუწირავს, მიუხედავად ამისა მეზღვაურს იგი უყვარს, უფრო მეტიც, უიმისოდ სიცოცხლეც ვერ წარმოუდგენია. ზღვას აქვს თავისებური რომანტიკა, მიმზიდველობა. იგი ვაჟკაცობისა და გმირობის სარბიელი ხდება.

ამის ნათელი მაგალითია ქართველი მებადურის რეზო დობორჯგინიძის, შრომით, ბრძოლითა და რთული თავგადასავლით აღსავსე ცხოვრება.

— 1954 წელს ბათუმის ნავსადგურში პირველად შემოვიდა ვეშაპთსანადირო ფლოტილია „სლავა", — ჩვენთან საუბარში მოიგონა რ. დობორჯგინიძემ. — იმ დღეებში სანაპიროს არ მოვიცლებოდარ. ოცნებით ჩემს გვერდახვეს ვუმზერდი ერთ-ერთი გემის კაპიტანს, ჩვენს თანამემამულს აბესალომ ზენაიშვილს. ოცნება ზოგჯერ ფრთებსაც ისხამს და აი მე ზენაიშვილის დახმარებით „სლავას" ეკიპაჟის წევრი გავხდი...

მებადურს ვთხოვეთ, მოეთხრო, როგორ ხდება ნადირობა ვეშაპზე.

— გემის ანძაზე სპეციალურად მოწყობილ პატარა ბაქანზე დგას მეზღვაური, რომელიც სიერცეს ათვალიერებს და დაეძებს ვეშაპს. მე ბარჯთან ვდგავარ. იგი ქვევიდს წაადგება. ბარჯზე კაპრონის გრძელი თოკია გამობმული. „ყუმბარა" 70 კილოგრამს იწონის. იგი მიზანს რომ მოხვდება ვეშაპი ცდილობს გაიჩინარდეს. სანამ მას არაქათი გამოეცლებოდეს. იძულებული ვართ თან მივყვეთ. მკვეთრი დაბეხრუქების შემთხვევაში შესაძლებელია ბარჯი ვეშაპის სხეულიდან ამოსხლტეს. ესეც არ იყოს, ვეშაპებს უდიდესი ძალა აქვთ, მასთან ერთბაშად ბრძოლის გაჩაღება ან წინააღმდეგობის დაძლევა არც თუ ისე ადვილია. ამიტომაც კვლავაკვალ მივდევთ. ზოგჯერ ასეთი დადევნება მთელი საათი გრძელდება. ანტარქტიდაში ზმირია ღელვა, წყალი სუსხიანია, ამ დროს სპეციალური, წყალგაუმტარი ტანსაცმელი მაცვია. საფრთხე მუდამ დიდია, მოულოდნელად მოვარდნილ ტალღას შეუძლია ბაქანს გადაეყოლოს და უძირო სტიქიაში ჩაგითრიოს. მაშინ კი...

— ზღვა — განაგრძო რეზომ, — აღსავსეა უცნაური საიდუმლოებებით, სახიფათო თავგადასავლით, ტრაგიკული და ზოგჯერ კომიკური ვითარებით. რამდენნაირ საშინელ არსებებს არ შეხვდები ოკეანეში. ერთხელ ოკეანეში თვალი მოვკარი რვაფეხას მსგავს უზარმაზარ ურჩხულს. საიდანღაც ვეშაპიც გაჩნდა. მათ შორის გაეფთრებული ბრძოლა გაჩაღდა. თითქოს ზღვა ყალეზე დგებოდა. ორთაბრძოლა კარგა ხანს გაგრძელდა, ლეჩჯი ზღვა რაღაც მღვრიე სითხემ შეაფერადა. ბოლოს ოკეანე თითქოს დაწყნარდა, ტალღებიც დაცხრა. რამდენიმე წუთის შემდეგ თვალი მოვკარი უზარმაზარ ვეშაპს. ასეთი რამ არაფერი მეხახა. მესაფეს მიკროფონიდან ჩვეძახე დადევნებოდა ვეშაპს და ბარჯი მოვამზადე.

ორი საათის განმავლობაში მიგსდევდით ოკეანის გოლიათ ცხოველს, ხან საათ გვატარებდა, ხან საათ. ზოგჯერ მთლიანად ქრებოდა თვალთაგან. ბოლოს, როგორც იქნა, მიეუახლოვდით სასროლო მანძილზე და ბარჯი ვესროლე... ჩვეულებრივ ამწეს გაუძღვიდა ბაქანზე მისი ამოტანა. 29 მეტრი სიგრძე ჰქონდა, 150 ტონა გამოვიდა. მის ყბაში 10-15 კაცი თავისუფლად მოთავსდებოდა.

რეზო წუთით მოგონებებში ჩაიძირა, შემდეგ ისევ განაგრძო:

— ბევრი რამ იწერება დელფინებისა და ადამიანთა მეგობრობაზე. ჩვენს გემსაც დაბმარებიან ეს ჭკვიანი ზღვის ცხოველები... ამ ოთხიოდე წლის წინათ ოკეანეში დელფინები შემოგვეფეთქნენ, გემს წინ მიუღლვებოდნენ, ტალღებზე კიბალუცობდნენ. რამდენჯერაც მათ გავყვებიო დით, იმდენჯერ ვეშაპებს წავაწყდებოდით. რამდენი ასეთი შემთხვევის მოყოლა შეიძლება...

რეზო დობორჯგინიძე უკვე 37 წლისაა. იგი „სლავას" ფლოტილიაში ერთ-ერთი საუკეთესო მებარჯეა. ამიტომაც ატარებს კომენსატორი შრომის დამკვრელის სახელს. მისი გემი მოწინავეთა რიგებში დგას და გეგმებს მუდამ გადაჭარბებით ასრულებს.

მუდამ ბედნიერ ნაღსობას ვუსურვებთ სახელოვან ქართველ მებარჯეს!

რ. გორგაძე,
მ. გორგილაძე.





სურათებზე: კიდევ წამი და რ. დობორჯგინიძის ნასროლი ბარჯი მიზნისკენ გაფრინდება (ზემოთ); მოკლული ვეშაპები მონადირე გემების ქიმზე მიკრული გადაეკვეთ საბაზო ხომალდზე (შუაში); 11 მეზღვაური თავისუფლად მოთავსდა ვეშაპის ყბაში და ადგილიც დარჩათ (ქვემოთ).

ჰაერაკი

ყურადღება, ფინიში!

გორში, ქალთა საკავშირო საჭადრაკო ჩემპიონატში ფინიში დაიწყო.

ნ. ალექსანდრიამ, ტ. ზატულოვსკაიამ, ე. რუბცოვამ და ნ. კონოპლიოვამ თვალსაჩინოდ ჩამოიტოვეს დანარჩენი მეტოქეები. ბრძოლა საპრიზო ადგილებისათვის ახლა მხოლოდ მათ შორის მიმდინარეობს. უკვე ცხადია, რომ საზონთაშორისო ტურნირის ერთ-ერთი საგზური ნ. ალექსანდრიას დარჩება. რაც შეეხება ე. რუბცოვასა და ნ. კონოპლიოვას, მათ ამისათვის კიდევ მოუხდებათ ერთგვარი სიძნელეების გადალახვა. ერთადერთი, ვისაც კიდევ აქვს შესაძლებლობა მეტოქეობა გაუწიოს ახალგაზრდა მოსკოველ ოსტატებს, საერთაშორისო ოსტატი ვ. ბორისენკოა.

მეთოთხმეტე ტურში ნ. ალექსანდრიამ კარგად წარმართა შეხვედრა ვ. ბორისენკოსთან. სსრ კავშირის ჩემპიონს გარკვეული უპირატესობა ჰქონდა, მაგრამ მისი ერთი ნაჩქარევი სვლის შემდეგ მეტად შეუპოვრად მოთამაშე ვ. ბორისენკომ ყაიმს მიაღწია. ასეა თუ ისე, ნ. ალექსანდრიამ კიდევ უფრო განმტკიცა ლიდერობა, რადგან ე. რუბცოვა რიგელ ბ. ვილერტს გაფთრებულ წინააღმდეგობას წაწყდა. ახლა გადადებულ პოზიციაში ბ. ვილერტს ზედმეტი ფიგურა აქვს და, ეტყობა, მოსკოველ ოსტატს პირველ დამარცხებას აგემებს. ტ. ზატულოვსკაია ყოველთვის დიდი ძალით იბრძვის ფინიშზე. იგი ამ ტრადიციას არც ახლა ღალატობს და მოგების შესაძლებლობებს ინარჩუნებს გადადებულ პარტიაში მ. შულთან. ნ. კონოპლიოვა შავებით ინიციატივას დაეუფლა ლ. კრასტოლთან და გადადებულ პარტიაში უპირატესობა აქვს. ზედიზედ მესამე გამარჯვება იზეიმა ა. მულინიმოვამ — ამჯერად კ. ზვორიკინასთან. პირდაპირ საოცარია, თერთმეტი ნათამაშევი 7 პარტიიდან კ. ზვორიკინამ 5 წაგო (!) და მხოლოდ ორი მოიგო, შავებით კი უკეთესი შედეგი აქვს. ლ. ხემოლოვამ მოუგო თ. ხუგაშვილს, მ. რანიკუმ — ლ. შადურას. უკვე ცხადია, რომ შეჯიბრებაში მონაწილე 4 პირველთანრიგოსნიდან ვერც ერთი ვერ შეასრულებს ოსტატის წოდების მოსაპოვებლად საჭირო ჭულათა ნორმას.

გუშინ მეთხუთმეტე ტურში ნ. ალექსანდრიამ დამამარცხა ო. ბეიკო, ე. რუბცოვამ — მ. შული, ვ. ბორისენკომ — კ. ზვორიკინა, ე. კოზლოვსკაიამ — ო. ხუგაშვილი. ყაიმზე შეთანხმდნენ ნ. კონოპლიოვა-ტ. ზატულოვსკაია და ო. ანდრეევა-ო. კაცკოვა.

15 ტურის შემდეგ წინაა ნ. ალექსანდრია, რომელსაც 12,5 ჭულა აქვს. 11 ჭულა და 1 გადადებული პარტია აქვს ე. რუბცოვას, 10-10 ჭულა და თითო გადადებული პარტია ტ. ზატულოვსკაიას და ნ. კონოპლიოვას.

გ. გამრეკელი.

□

თბილისის პირველობაზე

რესპუბლიკის ცენტრალურ საჭადრაკო კლუბში დამთავრდა თბილისის 1969 წლის საჭადრაკო პირველობის ნახევარფინალური შეჯიბრება. იგი შვეიცარიული სისტემით მიმდინარეობდა (10 ტურად) 106 კაცის მონაწილეობით.

პირველი-მეხუთე ადგილები გაიყვეს ოსტატობის კანდიდატებმა ზ. მიქაძემ, მ. თხელიძემ, გ. ციხელაშვილმა, ვ. მეჩითოვმა და პირველთანრიგოსანმა ვ. სემიონოვმა. მათ 10 თამაშიდან 7,5-7,5 ქულა აქვთ. შვიდ-შვიდი ქულა შეაგროვეს ოსტატობის კანდიდატებმა ჰ. არნშტეინმა, დ. ჯანოვამ, ს. მეგრელიშვილმა, ნ. ჩახოიანმა, მ. ლევინმა, პირველთანრიგოსნებმა ვ. ბელქანიამ და ს. ელბაკიძემ.

ა. მეტრეველმა ჩემპიონობა დაიგრუნა

გუშინ ტაშკენტში გრძელდებოდა საკავშირო ჩემპიონატი ჩოგბურთში.

ერთეულთა ფინალურმა შეხვედრებმა დიდი ინტერესი გამოიწვია და მრავალი მაყურებელი მიიზიდა. ქალთა ასპარეზობაში წარმატება ო. მოროზოვას ხვდა და ჩემპიონობაც მას მიეკუთვნა.

შეუპოვარი ბრძოლით ხასიათდებოდა ა. მეტრეველისა და ვ. პალმანის შეხვედრა. ჩვენმა თანამემამულემ გამოამეღავნა შესანიშნავი ტექნიკა, სწრაფვა გამარჯვებისაკენ და დაიბრუნა სსრ კავშირის ჩემპიონობა.

ქომუნისტი ლაბორატორია

ადამიანი და სტიქია

ებრძვიან გრიგალს

ყუბანისა და სტავროპოლის ველებს მოულოდნელად თავს დაატყდა ძლიერი გრიგალი. ეს გრიგალი ჩრდილოეთ ატლანტიკის სივრცეში წარმოიშვა. ციკლონი, რომელმაც გადაუარა ევროპას, შემდეგ უკრაინას და ჩრდილოეთ კავკასიას, გზადაგზა თანდათანობით ძლიერდებოდა.

ოჩაკოვში ქარის სიჩქარე 30 მეტრი იყო წამში, ტუაფსეში — 34, ხერსონში და ანაპაში — 40 მეტრი. ხოლო ყუბანისა და სტავროპოლის ველებში ქარის სიჩქარე აღწევდა 40-45 მეტრს წამში. დაზიანდა სახლები, მეცხოველეობის ნაგებობანი. ტალღა წყალი ადიდა აზოვის ზღვაში, რის შედეგად დაიტბორა სანაპირო ხუტორები და მებადურთა სადგომები. ქარს თითქმის არ დაუზიანებია საშემოდგომო ნათესები, რადგან წინა დღეს წვიმდა.

სტიქიის შემოტევის პირველი საათებიდანვე ადგილებზე შეიქმნა გრიგალის შედეგებთან ბრძოლის სპეციალური შტაბები და კომისიები. პარტიის სამხარეო კომიტეტებმა, სამხარეო აღმასკომებმა, კომკავშირის სამხარეო კომიტეტმა ზარალის ლიკვიდაციისათვის დარაზმეს სამშენებლო ორგანიზაციების, კავშირგაბმულობის სამსახურის, ენერგეტიკოსთა კოლექტივები — ყველა, ვისაც კი შეეძლო დახმარება გაეწია დაზარალებულთათვის. კოლმეურნეობებმა და საწარმოებმა შექმნეს მაშველი რაზმები. ვერტმფრინავებს ხალხი გადაპყავდათ დატბორილი სახლებიდან.

ქარი შენელდა, მაგრამ მაშველი რაზმები განაგრძობენ მუშაობას. ცენტრალური და ადგილობრივი ორგანოები ახორციელებენ ენერგიულ ღონისძიებებს გრიგალის შედეგების ლიკვიდაციისათვის. (საქდესი).

კირილე ზდანევიჩი

გარდაიცვალა საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე კირილე მიხეილის-ძე ზდანევიჩი.

საბჭოთა მხატვრების ოჯახში დაბადებულ ფერწერისა და გრაფიკის ოსტატს, შესანიშნავ ოსტატი, ხოლო საქართველომ, ქართული კულტურის მოღვაწემ — ერთგული მეგობარი, რომელმაც მთელი თავისი შემოქმედებითი ცხოვრება დაუკავშირა ქართველ ხალხს. კირილე ზდანევიჩი სამუდამოდ დარჩება ჩვენს მადლიერ ხსოვნაში აგრეთვე როგორც ის ადამიანი, რომელმაც პირველმა (თავის ძმასთან ილია ზდანევიჩთან ერთად) მხატვრის აღტაცებულო თვალით დაინახა ქართველი ხალხის ბეჭნიერ ნიკო ფიროსმანაშვილის სურათები, აღმოაჩინა მისი შემოქმედება ქართული ხელოვნებისათვის, მთელი მსოფლიოსათვის. მანვე შეკრიბა, დაიცვა და საქართველოს ხელოვნების მუზეუმს გადასცა ნიკო ფიროსმანაშვილის სურათების დიდი კოლექცია, რომელიც ამჟამად ჩვენი ხელოვნების ერთვნული საგანძურის სიამაყეს შეადგენს.

კირილე მიხეილის-ძე ზდანევიჩი დაიბადა 1892 წელს თბილისში. ფერწერას სწავლობდა თბილისში, მოსკოვში, პეტერბურგში, პარიზში. მისი სურათების პირველი გამოფენა გაიმართა პარიზში 1913 წელს, მეორე — თბილისში 1919 წელს, მას შემდეგ, რაც მან სამი წელი (1914-1917) გაატარა პირველი მსოფლიო ომის ფრონტზე. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების მხატვარი მიეყალმა რუსთაველის პროსპექტზე გამოფენილი გრანდიოზული პანოთი და მთელი რიგი აგიტპლაკატებით. 1923 წლიდან იგი გატაცებულია თეატრალურ-დეკორაციული ფერწერით და აფორმებს მთელ რიგ სპექტაკლებს რუსთაველის სახელობის თეატრში (კ. მარჯანიშვილის ხელმძღვანელობით), ოპერის თეატრში და სხვ. 1928 წლიდან კ. ზდანევიჩი მოწვეულ იქნა მოსკოვში მ. ფორეგერის თეატრში სამუშაოდ (1930 წლამდე), მუშაობდა სახელმწიფო გამომცემლობასა და სხვა დაწესებულებებში, ამასთან კავშირი არ გაუწყვეტია საქართველოსთან. მონაწილეობდა ყველა რესპუბლიკურ გამოფენაში, აფორმებდა ქართველი მწერლების წიგნებს.

ორმოცდაათიანი წლების მეორე ნახევრიდან იწყება კირილე ზდანევიჩის შემოქმედებისა და ლიტერატურულ-მხატვრული მოღვაწეობის ახალი აღმავლობა, რაც მთლიანად დაკავშირებულია საქართველოსთან. ერთიმეორის მიყოლებით — თბილისსა და მოსკოვში — გამოდის ნიკო ფიროსმანაშვილისადმი მიძღვნილი მისი შესანიშნავი მონოგრაფიები, რომლებმაც ხელი შეუწყო ამ უკანასკნელის შემოქმედებისადმი საყოველთაო ინტერესის ახალ გაძლიერებას. მხატვრის ინტერესიერ მუშაობას კირილე ზდანევიჩი ახამებს ლიტერატურულ-მხატვრულ მოღვაწეობასთან, წერს სტატიებს ზ. ვალიშვილზე, დ. კაკაბაძეზე, ლ. გუდიაშვილზე, ჯ. გრიგორაშვილზე, ახალგაზრდა ქართველ მხატვრებზე, ამზადებს მემუარების წიგნს, რომელშიც აისახა მხატვრული ინტელიგენციის ცხოვრების მთელი ეპოქა, მისი მრავალი წლის მჭიდრო მეგობრობა არა მარტო მხატვრებთან, არამედ საბჭოთა ლიტერატურის ბევრ გამოჩენილ მოღვაწეებთან (მაიაკოვსკი, პასტერნაკი, პაუსტოვსკი, ერენბურგი, ტიციან ტაბიძე, პაოლო იაშვილი, გიორგი ლეონიძე, სიმონ ჩიქოვანი, სერგო კლდიაშვილი და სხვები).

კირილე ზდანევიჩმა განვლო მხატვარ-ნოვატორის დიდი და შინაარსიანი გზა, გზა მიზანდასახული ძიებისა — რეალიზმიდან იმპრესიონიზმისა და კუბიზმის დაძლევიდ რეალისტურ პოზიციებზე საბოლოოდ დაბრუნებამდე. მაგრამ იგი ყოველთვის და ყველგან ინარჩუნებდა თავის სტილს, სამყაროს თავის აღქმას: წელთა მსვლელობაში კი მისი ნიჭი არათუ არ უფერულდებოდა, არამედ გვიცვლებდა სულ უფრო მზარდი ახალგაზრდული სიმძლავრითა და სიუხვით, დაუშრეტელი მრავალფეროვნებით.

იშვიათი სულიერი სისპეტაკისა და კეთილშობილების ადამიანი — კირილე ზდანევიჩი სამუდამოდ დარჩება მისი მეგობრების, ამხანაგებისა და კოლეგების ხსოვნაში.

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრო, საქართველოს მხატვართა კავშირი, საქართველოს მწერალთა კავშირი.

ისტორიული ქრონიკა

თევდორეს თავდადება

თრიალეთის ქედის ჩრდილოეთ დაფერდებაზე, სოფელ ერთაშენდის სამხრეთით საქართველოს ავბედობის დროინდელი ეკლესია დგას. ეკლესია დრო-ქამს ნანგრევებად უქცევია — სახურავი მორღვეულა და კედლებიც დახეთქილა. იგი ახლა არაფრით არ გამოირჩევა, მაგრამ... გადმოცემით მადლიერ თანამამულეთ თევდორე კვალთელისათვის აუგიათ. სწორედ იმ თევდორესათვის, რომელმაც 360 წლის წინათ ერისა და ხალხისათვის დაუთმეწყარი თავგადება გამოიჩინა...

1609 წელს ქართლის მრავალჭირნახულ მიწას ჯერ კიდევ ირან-ოსმალეთის წინააღმდეგ ბრძოლებში მიყენებული ჭრილობები არ მოშუშებოდა, ჯერ კიდევ წელში არ გამართულიყო, როცა ბაღდადზე ძლევამოსილი ლაშქრობით „მაყოფილ თურქეთის სულთანს თავის მოკავშირე ყირიმის ხანისათვის ქართლზე გავლით სამშობლოსაკენ გზა დაულოცნია...

თათართა მრავალათასიანი ურდო ახალციხის მხრიდან ქართლს მოულოდნელად შემოესია, გადმოლახა „ჯავახეთი, ერევანი, თრიალეთი, გაწყვიტა ქართველთა მონაპირი რაზმები, გადაწვა მანგლისი და აქედან ქართლის მეფეთა საზაფხულო სადგომ ცხირეთზე მისვლა, მეფის ხელში ჩაგდება და შიდა ქართლის დაპყრობა განუზრახავს. მეფე და მისი კარი კი მტკრს არ ელოდნენ.

დამპყრობლებმა სოფელ კველთაში თევდორე ხუცესი შეიპყრეს და მეგზურობა უბრძანეს. როგორც მემატიანე მოგვითხრობს, „მღვდელმან გულში ესე თქვა: „ჩემის ორი დღის სიცოცხლისათვის ამას რატომ ვაქ. აწ მიეძღვიე და მეფე მოვაკვლევინო და ქართლიც გაათავხრონ. მე რაღა მეშველებოდა"...

მამაცმა ადამიანმა მტერი დიდხანს ატარა, ქვანაღრისის გზით წამოეძღვა და მოსკოვში — ბამოდის ნიკო ფიროსმანაშვილისადმი მიძღვნილი მისი შესანიშნავი მონოგრაფიები, რომლებმაც ხელი შეუწყო ამ უკანასკნელის შემოქმედებისადმი საყოველთაო ინტერესის ახალ გაძლიერებას. მხატვრის ინტერესიერ მუშაობას კირილე ზდანევიჩი ახამებს ლიტერატურულ-მხატვრულ მოღვაწეობასთან, წერს სტატიებს ზ. ვალიშვილზე, დ. კაკაბაძეზე, ლ. გუდიაშვილზე, ჯ. გრიგორაშვილზე, ახალგაზრდა ქართველ მხატვრებზე, ამზადებს მემუარების წიგნს, რომელშიც აისახა მხატვრული ინტელიგენციის ცხოვრების მთელი ეპოქა, მისი მრავალი წლის მჭიდრო მეგობრობა არა მარტო მხატვრებთან, არამედ საბჭოთა ლიტერატურის ბევრ გამოჩენილ მოღვაწეებთან (მაიაკოვსკი, პასტერნაკი, პაუსტოვსკი, ერენბურგი, ტიციან ტაბიძე, პაოლო იაშვილი, გიორგი ლეონიძე, სიმონ ჩიქოვანი, სერგო კლდიაშვილი და სხვები).

კირილე ზდანევიჩმა განვლო მხატვარ-ნოვატორის დიდი და შინაარსიანი გზა, გზა მიზანდასახული ძიებისა — რეალიზმიდან იმპრესიონიზმისა და კუბიზმის დაძლევიდ რეალისტურ პოზიციებზე საბოლოოდ დაბრუნებამდე. მაგრამ იგი ყოველთვის და ყველგან ინარჩუნებდა თავის სტილს, სამყაროს თავის აღქმას: წელთა მსვლელობაში კი მისი ნიჭი არათუ არ უფერულდებოდა, არამედ გვიცვლებდა სულ უფრო მზარდი ახალგაზრდული სიმძლავრითა და სიუხვით, დაუშრეტელი მრავალფეროვნებით.

იშვიათი სულიერი სისპეტაკისა და კეთილშობილების ადამიანი — კირილე ზდანევიჩი სამუდამოდ დარჩება მისი მეგობრების, ამხანაგებისა და კოლეგების ხსოვნაში.

ი. ზაქარიაშვილი.

ლაკარაკობს და უჩვენებს თბილისი

რადიო

8 ნოემბერი

პირველი პროგრამით

06.05 — უკანასკნელი ცნობები, 06.35 — ქართული საობერო მუსიკა, 06.50 — „სოფლის დილა", 07.30 — დილის კონცერტი, 12.10 — საუბარი — „საზოგადოებრივი საკუთრება კოლმეურნეობათა განვითარების საფუძველია", 12.25 — დ. მოსტაკოვიჩი. მეოთე კვარტეტი და ვოკალური ციკლი ე. დოლმატოვსკის ტექსტებზე, 13.00 — უკანასკნელი ცნობები (მოსკოვი), 13.40 — ქართული ხალხური მუსიკის კონცერტი, 17.00 — უკანასკნელი ცნობები, 17.15 — მოსწავლეთათვის. ციკლიდან „მოგზაურობა ცოდნის სამყაროში". რადიოდადგმა „უტოპიიდან სოციალიზმამდე", 18.10 — ქართული კამერული მუსიკა, 18.45 — გ. პონომარენკო. სიმღერები, 19.00 — მილიონთა ლენინური უნივერსიტეტი. ციკლი „მეცნიერული კომუნიზმის აქტუალური საკითხები". საუბარი — „მეცნიერული კომუნიზმი მარქსიზმ-ლენინიზმის შემადგენელი ნაწილია", 19.15 — ქართული ხალხური სიმღერები, 20.00 — უკანასკნელი ცნობები, (მოსკოვი), 20.30 — ს. ცინცაძე. მეორე სიმფონია, 21.00 — „ძალისპირული", 21.15 — ციკლიდან „საბჭოთა მწერლების ლიტერატურული პორტრეტები" — ა. ბროკეი, 22.00— ვ. გავრილინი. ვოკალური ციკლი „რუსული რომანსი", 22.50 — ქართველ კომპოზიტორთა სიმღერები, 23.30 — ს. რახმანინოვი. ნაწყვეტები ოპერა „ალეკოდან", 23.55 — უკანასკნელი ცნობები.

ტელევიზია

● **კვირა, 2 ნოემბერი**

10.30 — ბავშვებისათვის „მაღვიძარა" (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.00 — მუსიკალური კიოსკი (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.30 — „ჯანმრთელობა" სამეცნიერო პოპულარული პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 12.00 — ქართული მხატვრული ფილმი „ორი ოჯახი", 17.00 — გადაცემა საბჭოთა არმიის მეომრებისათვის. „მეგობრობის ესტაფეტა" (საბჭოთა კავშირისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ერთობლივი გადმოცემა მოსკოვიდან), 17.30 — „სოფლის საათი" — კოლმეურნეთა მესამე საკავშირო ყრილობის შესახვედრად (გადმოცემა მოსკოვიდან), 18.30 — საერთაშორისო გასართობი პროგრამა, 19.10 — „კინოფიშა", 19.30 — კინომოგზაურთა კლუბი (გადმოცემა მოსკოვიდან), 20.30 — „მოამბე" — საინფორმაციო პროგრამა, 20.40 — კინონარკვევი, 21.00 — გადაცემა ციკლიდან „საბჭოთა კინოს ოსტატები" — ამბები ვასილიევები, 21.45 — ქართული მხატვრული ფილმი „ხევისბერი გოჩა".

● **ორშაბათი, 3 ნოემბერი**

11.00 — ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.15 — ბავშვებისათვის — „მოდი, ზღაპარო!" (გადმოცემა იენესეკიდან), 11.45 — ქართული მხატვრული ფილმი „ხევისბერი გოჩა", 18.00 — ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 18.15 — კინონარკვევი, 18.25 — განცხადებები, 18.30 — საქართველოს ფერადი ტელევიზიის პროგრამა ბავშვებისათვის — კონცერტი „ცხოველთა კარნავალი", 19.00 — ფეხბურთი საბჭოთა კავშირის პირველობაზე. „ნეფტჩი" ბაკო — „დინამო" თბილისი (გადმოცემა ბაკოდან), 20.45 — კინონარკვევი, 21.05 — გადაცემა „მომშადებული შეხვედეთ ზამთარს", 21.20 — „მოამბე" — საინფორმაციო პროგრამა, 21.45 — გადაცემა „დიდების მუზეუმი", 22.10 — კინონარკვევი, 22.30 — „თეატრალური შეხვედრები" (მოსკოვი).

● **სამშაბათი, 4 ნოემბერი**

11.00 — ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.15 — გადაცემა „დიდების მუზეუმი" (3 ნოემბრის გადაცემის გამეორება), 11.40 — მხატვრული ფილმი „ახალგაზრდობის ქუჩა", 18.05 — ახალი ამბები, 18.10 — კინონარკვევი, 18.20 — განცხადებები, 18.25 — გადაცემა ბავშვებისათვის — „ჯადოსნური საღებავი", 19.05 — გადაცემა „დაკარგული ტრადიციები", 19.30 — კონცერტი ხელოვნების ოსტატთა მონაწილეობით, 20.05 — საქართველოს კულტურის დღეები გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში — გერმანული დრამატურგია ქართულ სცენაზე, 21.05 — „მოამბე" — საინფორმაციო პროგრამა, 21.25 — მხატვრული ფილმი „უცაბედად ადგილზე". I სერია (ქართულ ენაზე), 22.50 — „კინოპროგრამა" (გადმოცემა მოსკოვიდან).

● **ოთხშაბათი, 5 ნოემბერი**

11.00 — ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.15 — მხატვრული ფილმი „ლენინის საუბარი", 18.05 — ახალი ამბები, 18.10 განცხადებები, 18.15 — პირველი ნაბიჯები", 18.35 — „ცეროდენას ეკრანი", 18.45 — გადაცემა ახალგაზრდობისათვის. „რედაქციაში წერილი მოვიდა" — როდეზიელი ჯალათი, 19.10 — ქალაქ ჭიათურის მაღარიელთა სიმღერისა და ცეკვის ანსამბლის კონცერტი, 19.40 — პოლიტეკონომიის შემსწავლელთათვის. საუბარი „კაპიტალისტური საქონელწარმოება", 20.00 — „მოამბე" — საინფორმაციო პროგრამა, 20.25 — მხატვრული ფილმი „უკაცრიელ ადგილზე". II სერია (ქართულ ენაზე), 21.40 — „ახალი ამბების ესტაფეტა" — საზეიმო გამოშვება (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.25 — „ცირკი სტუდიაში" (გადმოცემა მოსკოვიდან).

● **ხუთშაბათი, 6 ნოემბერი**

11.00 — ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.10 — „ლენინურ ადგილებში" — „ვ. ი. ლენინი პოლონეთში" (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.40 — მხატვრული ფილმი „პირველი მომსვლელი", 13.00 — „სამშობლოს ერთი საათი" — საკავშირო რეპორტაჟი, 17.50 — ახალი ამბები, 17.55 — დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 52-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო სხდომის ტრანსლაცია ჯრედლის ყრილობათა სასახლიდან, 19.00 — „მოამბე" — საინფორმაციო პროგრამა, 19.20 — დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 52-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო სხდომის ტრანსლაცია ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრიდან (ვიდეოჩანაწერი), 20.20 — საზეიმო კონცერტის ტრანსლაცია ჯრედლის ყრილობათა სასახლიდან, 21.30 — ფეხბურთი საბჭოთა კავშირის პირველობაზე „ცსკა" — „სპარტაკი" (II ტაბი, გადმოცემა მოსკოვიდან), 22.35 — მხატვრული ფილმი „ლენინი ოქტომბერში", 23.55 — „სამშობლოს ერთი საათი" — საკავშირო რეპორტაჟი.

● **პარასკევი, 7 ნოემბერი**

09.55 — დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 52-ე წლისთავისადმი მიძღვნილი სამხედრო პარადისა და მშრომელთა დემონსტრაციის რეპორტაჟი. რეპორტაჟის დამთავრების შემდეგ — საბჭოთა სიმღერების კონცერტი (გადმოცემა მოსკოვიდან), 15.00 — ქართული დოკუმენტური ფილმი „საქართველო არის ესე"..., 15.55 — ბავშვებისათვის — საბავშვო კონცერტი, 16.30 — საბავშვოებით ფილმი-კონცერტი „ახალგაზრდების ხელოვნება". პრემიერა (საქართველოს ტელევიზიის ნაწარმოები), 17.45 — ვ. მაიაკოვსკის პოემა „ვლადიმერ ილიას-ძე ლენინი". 18.30 — საქართველოს ფერადი ტელევიზიის კინოდარბაზი. მხატვრული ფილმი „მოუხელთებელთა ახალი თავგადასავალი", 20.00 — „ცისფერ ბურანში" — საზეიმო გამოშვება (გადმოცემა მოსკოვიდან), 21.00 — წითელი მოედანი, საზეიმო სალუტი, 21.30 — „სამხედრო პარადისა და მშრომელთა დემონსტრაციის რეპორტაჟი (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.30 — „მოამბე" საინფორმაციო პროგრამა.

● **შაბათი, 8 ნოემბერი**

11.00 — „იყავით ბედნიერი" — მუსიკალური გასართობი პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.30 — „ცეკვის სიცოცხლე" (გადმოცემა მოსკოვიდან), 12.25 — საესტრადო კონცერტი — „ჩვენი ქვეყნის მელოდიები", 12.55 — კინოპროგრამა, 13.20 — ქალაქების მუსიკალური ესტაფეტა, 14.20 — ფილმი-ბალეტი „თხუანა" (გადმოცემა მოსკოვიდან), 15.30 — სატელევიზიო მხატვრული ფილმი „ვალსი". პრემიერა (გადმოცემა მოსკოვიდან), 16.40 — ქართული მხატვრული ფილმი „ჯარისკაცის მამა", 18.15 — ფერადი ტელევიზიის პროგრამა — საზეიმო კონცერტი (გადმოცემა მოსკოვიდან), 19.15 — „თეატრალური კონცერტი", 20.15 — „მუსიკალური ფოსტა", 20.45 — „მხიარულთა და საზრიანთა კლუბი" (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.45 — საქართველოს ფერადი ტელევიზიის პროგრამა — მუსიკალური მიმოხილვა.